ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

შპს „სკოლა ჩირაღდანი“

შეფასების თარიღ(ებ)ი: 7-8 აპრილი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 20 მაისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
დაწესებულების სახელწოდება	შპს სკოლა ჩირაღდანი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	216342330

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:	
დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	არა
საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	არა

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქ. რუსთავი
იურიდიული მისამართი	ქ. რუსთავი კოსტავას გამ. 35-ა. ბინა 5.
ფაქტობრივი მისამართი	რუსთავი მე-7 მ/რ
საფოსტო ინდექსი	3700
დაწესებულების ვებ-გვერდი	Chiragdani.ge

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

დაწესებულების ელ-ფოსტა	Chiragdani2009@gmail.com
დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი	593 31 90 10
ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)	დავით კაპანაძე
ტელეფონის ნომერი/ფაქსი	593 31 90 10
ელ-ფოსტა	Chiragdani2009@gmail.com

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 16/03/2022 წლის ბრძანება MES 4 22 0000269774
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	7-8 აპრილი, 2022 წ.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი)	ცირა ნიკოლაშვილი
წევრი (სახელი, გვარი)	ნინო მუმლაძე
წევრი (სახელი, გვარი)	
წევრი (სახელი, გვარი)	
წევრი (სახელი, გვარი)	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

IV. ვიზიტის შეჯამება

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი/ქვესტანდარტი		ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	☐	☒
1.1	სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	**მუხლი 6/ პუნქტი ა)**	☐	☒
1.2	სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	**მუხლი 6/ პუნქტი ბ)**	☐	☒
1.3	სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 6/ პუნქტი გ)**	☒	☐
1.4	სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	☒	☐
1.5	შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილების შესაძლებლობით	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

1.6	შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	☐	☒
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	☐	☒
2.1	დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	☐	☒
2.1.1	ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)**	☒	☐
2.1.2	საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)**	☐	☒
2.1.3	სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	**მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)**	☒	☐
2.1.4	სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	**მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)**	☐	☒
2.2.	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	☐	☒
2.3	სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	☒	☐
2.4	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	☒	☐
2.5	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები.	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	☐	☒

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას			
2.6	სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	მუხლი 7 / პუნქტი ვ)	☐	☒
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)	☐	☒
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)	☒	☐
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ)	☐	☒
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ)	☐	☒
2.6.5	კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე)	☐	☒
2.7	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	მუხლი 7/ პუნქტი ზ)	☒	☐
2.8	შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	მუხლი 7/ პუნქტი თ)	☐	☒

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.9	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა	მუხლი 7/ პუნქტი ი)	☒	☐
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	☐	☒
3.1	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	☐	☒
3.2	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	☐	☒
3.3	სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	☐	☒
3.4	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	**მუხლი 8/ პუნქტი დ)**	☐	☒
3.5	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	**მუხლი 8/ პუნქტი ე)**	☐	☒
3.6	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	**მუხლი 8/ პუნქტი ვ)**	☐	☒

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*ხარვეზი*
ქვესტანდარტი	*1.1.*	*სასკოლო სასწავლო გეგმა არ გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და არ შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას.* *საათობრივი ბადე VIII-IX კლასში, მუსიკასა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, არ მიჰყვება*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

		ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ კვირეულ საათობრივ დატვირთვას; სკოლას აღნიშნული საგნების სწავლების მოდელი შემუშავებული აქვს თავისი შეხედულებისამებრ, თუმცა არ არის წარმოდგენილი სამინისტროში დასაბუთება, თუ როგორ შეუწყობს ხელს სკოლის მიერ განსაზღვრული საათობრივი დატვირთვა სტანდარტის შედეგების მიღწევას. *ნაცვლად ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილისა ტარდება ჭადრაკის გაკვეთილები დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე.*
	1.2.	*სკოლაში ნაცვლად ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილისა ტარდება ჭადრაკის გაკვეთილები დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე. გასაუბრებითა და ლაბორატორიის დათვალიერებით ვერ დასტურდება, რომ სკოლის მისიის შესაბამისად, ლაბორატორიული და ტექნოლოგიური სამუშაოები სასწავლო პროცესის ნაწილია.* *სასკოლო პროექტები, სპორტული, სახელოვნებო და საკლუბო აქტივობები არ ტარდება. სკოლამ ვერ წარმოადგინა ამ მიმართულებით განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ვერც მოსწავლეები ასახელებენ განხორცილებეულ სასკოლო პროექტებს.*
	1.6	*სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმში არ არის აღწერილი, სკოლა „ჩირაღდანში“ ხარისხის შეფასების ციკლის თითოეულ ეტაპზე განსახორცილებელი აქტივობები. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით ვერ დგინდება, თუ როგორ ხორციელდება სკოლაში სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებასა და შემდგომი გაუმჯობესების პროცესი.*
სტანდარტი	***მატერიალური რესურსი***	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტი	*2.1.*	*წარმოდგენილი საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (აუდიტის დასკვნები), დასაწყობებული მერხები და სკამები ვერ ჩაითვლება სკოლაში ამჟამად არსებული სასკოლო ინვენტარის ფლობის მტკიცებულებად, რადგან დოკუმენტაცია აღწერს 2012 წლის მდგომარეობას, ხოლო ინვენტარი საჭიროებს ვარგისიანობის შეფასებას.*
	2.3.	*საკლასო ოთახებში არ არის ნათურები. კომპიუტერულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიებში, ასევე ექთნის ოთახში არ არის გათბობის საშუალებები.*
	2.5.	*სკოლაში არსებული ყველა (13) კომპიუტერის საკუთრებაში ფლობის დამადასტურებელი შესყიდვის დოკუმენტაცია სკოლამ ვერ წარმოადგინა. ჩუქების აქტით დასტურდება, მხოლოდ 5 კომპიუტერის ფლობა.*
	2.6.ა)	*სკოლაში განთავსებული ყველა ცეცხლმაქრის (სულ 5) საკუთრებაში ფლობის დამადასტურებელი შესყიდვის დოკუმენტაცია სკოლამ ვერ წარმოადგინა. ჩუქების აქტით დასტურდება მხოლოდ 2 ცეცხლმაქრის ფლობა. დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა ცეცხლმაქრების გადამუხტვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.*
	2.6.გ)	*დოკუმენტი „სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმი“ არ ასახავს პირველადი სამედიცინო დახმარების პროტოკოლს, ექთნის ვალდებულებებს, პაციენტის უფლებებსა და სხვ. მედიკამენტები განთავსებულია კარადაში, რომელიც არ იკეტება. სამედიცინო კაბინეტი საჭიროებს მოწყობას 2022 წლის 21 მარტის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

		მინისტრის ერთობლივი ბრძანების №41/ნ/01-23/ნ შესაბამისად.
	2.6.დ)	*დარღვეულია „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების“ მე-2 მუხლი, რომლის თანახმად, კერძო სკოლა ვალდებულია იხელმძღვანელოს წესით და დაიცვას იგი ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებით შეიმუშაოს შესაბამისი წესი, რომელიც უზრუნველყოფს ამ წესით განსაზღვრული პრინციპების სრულად დაცვასა და ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას.*
	2.6. ე)	*დარღვეულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვარის ბრძანება №06/ნ, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ: შიდა პერიმეტრი სრულად არ კონტროლდება ვიდეომეთვალყურეობის სისტემით, არ არის ბრძანებით დამტკიცებული ვიდეოსათვალთვალო სისტემის ყოველდღიური გამოყენებისა და ადმინისტრირების უზრუნველყოფაზე უფლებამოსილი პირი.*
	2.8.	*განვითარების სტრატეგიულ გეგმაში სკოლა არ განსაზღვრავს ჩამოთვლილი მიზნების მიღწევისათვის განსახორციელებელ ამოცანებს, ვადებსა და პასუხისმგებელ პირებს, მიზნის მიღწევის ინდიკატორებს, რაც ვერ შეუწყობს ხელს გეგმის ეფექტურად განხორციელებასა და მის მონიტორინგს.* *ერთწლიან გეგმაში არ არის მითითებული მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირები, რაც ვერ შეუწყობს ხელს სამოქმედო გეგმის ეფექტიან განხორციელებას.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.1.*	*სკოლას არ ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი. ხშირია სკოლიდან კადრების გადინება.* *სკოლას არ ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი სკოლის ექიმის პოზიციაზე დასაქმებული №41/ნ/01-23/ნ შესაბამისად.*
	3.2.	*მოწვეული მასწავლებლების საათობრივი დატვირთვა არ ითვალისწინებდა ზოგადი განათლების კანონით დადგენილ რეგულაციას. სკოლაში დასაქმებული იყო 3 უსტატუსო მასწავლებელი.*
	3.3.	*სკოლა არ ითვალისწინებს მასწავლებელთა შერჩევის პროცესის წარმართვის დროს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება N174/ნ დადგენილების რეგულაციებს.*
	3.4.	*მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები არ ითვალისწინებს საქართველოს მთავრობის N174/ნ დადგენილების რეგულაციებს.*
	3.5.	*სკოლას არ აქვს შემუშავებული ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები. არ ხორციელდება მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და მხარდაჭერის ხელშემწყობი ღონისძიებები.*
	3.6.	*ჩატარებული გასაუბრებებით, ექსპერტთა მიერ სკოლაში არსებული რეალური მდგომარეობის შესწავლით და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების საფუძველზე ვერ მიიჩნევა, რომ სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

		შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას.

VI. რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*რეკომენდაცია*
ქვესტანდარტი	*1.1.*	*რეკომენდებულია, რომ სკოლამ შესაბამისობაში მოიყვანოს სასკოლო სასწავლო გეგმის ძირითად ნაწილში, გეგმის დანართსა და შინაგანაწესში დღის რეჟიმის შესახებ ასახული ინფორმაცია.* *რეკომენდებულია, რომ სკოლას ჰქონდეს თითოეული დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებისთვის ამ მომსახურების განმახორციელებელი პირის მიერ შემუშავებული სასწავლო გეგმა ეროვნული სასწავლო გეგმის (მუხლი 22) მოთხოვნის შესაბამისად.* *რეკომენდებულია, რომ სკოლამ მოსწავლეებს მინიმუმ ორი უცხოური ენა შესთავაზოს ასარჩევად.*
	1.2.	*რეკომენდებულია სკოლამ შემაჯამებელი დავალების კომპონენტში დანერგოს კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება და აწარმოოს შემაჯამებელი დავალების ამსახველი დოკუმენტაცია ეროვნული სასწავლო გეგმის 32-ე პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად.*
	1.3.	*რეკომენდებულია, რომ სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილში ინკლუზიური განათლების შესახებ აისახოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №16/ნ ბრძანებით განსაზღვრული რეგულაციები.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.3*	*რეკომენდებულია, რომ განახლდეს ბიბლიოთეკის მატერიალური რესურსი, წიგნადი ფონდი, პერიოდიკა, დაზუსტდეს ბიბლიოთეკის სამუშაო საათები.*
	2.6. ბ)	*რეკომენდებულია, რომ განახლდეს საევაკუაციო გეგმები, რათა ადვილად აღსაქმელი იყოს მასზე არსებული პირობითი ნიშნები.*
	2.7.	*რეკომენდებულია, რომ სკოლის შინაგანაწესი, გრძელვადიანი და ერთწლიანი განვითარების გეგმები დამტკიცდეს უფლებამოსილი ორგანოს მიერ ან შევიდეს ცვლილება შინაგანაწესში საამისოდ უფლებამოსილი ორგანოს განსაზღვრასთან დაკავშირებით.* *რეკომენდებულია, რომ შინაგანაწესსა და შრომით ხელშეკრულებებში განსაზღვროს დასაქმებულთა (ადმინისტრაციული პერსონალისა და დამხმარე პერსონალის) სამუშაო დღეს სამუშაოს დაწყების დრო და დამთავრების დრო.* *რეკომენდებულია, რომ სკოლამ განაახლოს საქმისწარმოების წესი.*
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.1.*	

VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი	

დაწესებულების მისია	შპს ,,სკოლა ჩირაღდანის“ მისიაა შექმნას ისეთი სასწავლო-სააღმზრდელო გარემო, რომელიც ორიენტირებული იქნება მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობაზე, ისეთი უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე, რომლებიც მათ მისცემს საშუალებას გახდნენ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ღია სამოქალაქო საზოგადოების ნაწილი, სადაც პრიორიტეტული იქნება: კვლევის, აზროვნების (შემოქმედებითი, ანალიტიკური, კრიტიკული), ცოდნის რეალიზების, სოციალური და სხვა უნარები, ასევე ტოლერანტობა, განსხვავებული აზრის პატივისცემა, ჯანსაღი ცხოვრების წესი, ეროვნული ფასეულობებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სხვ. **აღნიშნულის მისაღწევად სკოლა ახორციელებს:** - ყველა საგნის მეთოდოლოგიაში ჯგუფური, ინდივიდუალური მუშაობის, პროექტებსა და კომპლექსურ დავალებებზე სისტემური მუშაობის დანერგვას, ინტეგრირებული გაკვეთილების ხშირ ჩატარებას, რომლებიც ორიენტირებული იქნება ცოდნის ხარისხზე და არა რაოდენობაზე და ხელს შეუწყობს ტრანსფერული უნარების განვითარებას; - დიფერენცირებული მიდგომის დანერგვას სასწავლო პროცესში; - ლაბორატორიული და ტექნოლოგიური სამუშაოების გამოყენებას სწავლა/სწავლების პროცესში; - მოსწავლეთა მრავალმხრივ შეფასებას, მათი პიროვნული განვითარების ხელშეწყობის მიზნით; - სპორტული ღონისძიებების ჩატარებასა და ვიზიტების მოწყობას თეატრში, გამოფენებზე, ღირსშესანიშნავ ადგილებში, ცნობილ ადამიანებთან შეხვედრას და სხვა; - წრეობრივი მუშაობისა და ფაკულტატური მეცადინეობების დანერგვას; მისიით განსაზღვრული ძირითადი მიზნების მისაღწევად სკოლა ასევე ახორციელებს ინგლისური ენის გაძლიერებულ სწავლებას, საზოგადოებრივი მეცნიერებების გაღრმავებულ სწავლებას; სთავაზობს სპორტული სახეობების მრავალფეროვან არჩევანს.

VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: **253**	ექსპერტი ეთანხმება ☐	**აღწერა** *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტი არ ეთანხმება ☒	სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების კითხვარით სკოლის მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობაა 253. ვიზიტის პერიოდში სკოლაში ირიცხებოდა 78 მოსწავლე. თითოეულ საკლასო ოთახში განთავსებული იყო მოსწავლეთა რიცხოვნობის შესაბამისი მერხები. სულ 78 მერხი. საკლასო ოთახები მცირე ზომისაა. აზომვითი ნახაზის მიხედვით, (რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში ზუსტად არ ასახავს რეალურ სურათს) უმეტესად საკლასო ოთახების ფართობი შეადგენს 20 კვ.მ.-ს. სკოლაში არის ერთი დიდი ზომის საკლასო ოთახი დაახლ. 40 კვ.მ., რომელშიც განთავსებულია მე-12 კლასის საკლასო ოთახი 16 მერხით. ვიზიტის განხორციელების პერიოდში მოწყობილი იყო 11 საკლასო ოთახი. სკოლას მეცხრე კლასი არ ჰყავდა. აღნიშნული კლასის გახსნის შემთხვევაში სკოლა გეგმავს საკლასო ოთახის მოწყობას ჭადრაკის გაკვეთილებისათვის განკუთვნილ ოთახში; ჭადრაკის კაბინეტის გადატანას სამასწავლებლოში, ხოლო სამასწავლებლოს გადატანას სასკოლო ღონისძიებებისთვის და შეხვედრებისთვის განკუთვნილ ოთახში. ექსპერტთა შეფასებით, თითოეულ საკლასო ოთახში შესაძლებელია განთავსდეს 10 მერხი, გარდა მე-12 კლასის საკლასო ოთახისა, რომელშიც განთავსდება 20 მერხი. ჯამში 130 მერხი. სასკოლო სასწავლო გეგმაში აღნიშნულია, რომ კლასში ირიცხება მაქსიმუმ 20 მოსწავლე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

		აქვე, უნდა აღინიშნოს, დოკუმენტურად არ დასტურდება სკოლაში არსებული მერხების ფლობა, ხოლო დასაწყობებული მერხები და სკამები საჭიროებს ვარგისიანობის შეფასებას.

X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლამ წარმოადგინა 2021-2022 სასწ. წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ 08/09/2021 წელს. სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილებია: · სკოლის მისია, · შესავალი, · სწავლა-სწავლების ძირითადი პრინციპები, · ძირითადი მეთოდიკური ორიენტირები, · სკოლის საერთო კულტურა, · საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება, · კალენდარი, · სასკოლო საათობრივი ბადე, · საგნობრივი კათედრები, · მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სისტემა, · სადამრიგებლო პროგრამა, · საგანმანათლებლო რესურსები, · სასკოლო შეფასების სისტემა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	· ინკლუზიური განათლება, · სავალდებულო და არჩევითი საგნები, · ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/ გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება, · დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების სახე და ჩამონათვალი, · სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების, მონიტორინგის, შეფასებისა და გადახედვის პროცესი. სასკოლო სასწავლო გეგმის დანართებია: · დანართი N1. 2021-2022 სასწავლო წლის კალენდარი, · დანართი N2. სასწავლო დღის რეჟიმი, . · დანართი N3. საათობრივი ბადე, · დანართი N4. პედაგოგების საათობრივი დატვირთვა, · დანართი N5. კლასების დაკომპლექტება, · დანართი N6. მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის მხარდაჭერა, · დანართი N7. საგანმანათლებლო რესურსები, · დანართი N8. გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, · დანართი N9. შეფასების კრიტერიუმები, · დანართი N10. გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენა, · დანართი N11. „საშემოდგომო გამოცდების“ ჩატარების პროცედურა, · დანართი N12. მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმა. 2021-2022 სასწ. წლის ხანგრძლივობა განისაზღვრება ორი სემესტრით, სემესტრის დაწყება-დამთავრებისა და არდადეგების ხანგრძლივობის შესახებ თარიღის დადგენისას შპს სკოლა ,,ჩირაღდანს“ გათვალისწინებული აქვს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეკომენდაციები „2021-2022 სასწავლო წელს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ“ და საქართველოს შრომის კოდექსი. სასკოლო სასწავლო გეგმის ძირითადი ნაწილის მიხედვით გაკვეთილის ხანგრძლივობა III-XII კლასებში განისაზღვრება 45 წუთით, I კლასისათვის - 35 წუთით, ხოლო II კლასში - 40 წუთით. <u>აღნიშნული ინფორმაცია არ შეესაბამება სკოლის შინაგანაწესსა და სასკოლო სასწავლო გეგმის დანართში გაწერილ დღის რეჟიმს.</u> დღის რეჟიმის მიხედვით გაკვეთილები დაწყებით და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	საბაზო-საშუალო საფეხურებზე ყველა კლასისათვის 45 წუთიანია. **რეკომენდებულია, რომ სკოლამ შესაბამისობაში მოიყვანოს სასკოლო სასწავლო გეგმის ძირითად ნაწილში, გეგმის დანართსა და შინაგანაწესში დღის რეჟიმის შესახებ ასახული ინფორმაცია.** ვიზიტის პერიოდში სკოლის დირექციას ვთხოვეთ წარმოედგინათ სასწავლო პროცესის ორგანიზების/მიმდინარეობის ამსახველი ისეთი დოკუმენტი (გაკვეთილების ცხრილი), რომელშიც ასახული იქნებოდა თითოეული კლასისათვის დღის მანძილზე ჩასატარებელი საგნების ჩამონათვალი. **ასეთი დოკუმენტი (გაკვეთილების ცხრილი) სკოლამ ვერ წარმოადგინა.** ამის ნაცვლად სკოლის მიერ წარმოდგენილი იყო მასწავლებელთა სამუშაო დატვირთვის ამსახველი ბადე, რომელიც ასახავდა პედაგოგთა სამუშაო განრიგს, თუ რომელ დღეს რომელ კლასში, რიგით რომელ გაკვეთილს ატარებს მასწავლებელი. აღნიშნულ ბადეში მოცემული იყო დღის განრიგი, რომელის მიხედვით გაკვეთილის ხანგრძლივობა ყველა კლასისათვის შეადგენდა 45 წუთს. ვიზიტის პერიოდში ვნახეთ სკოლის შესასვლელში, საინფორმაციო დაფაზე, გამოკრული გაკვეთილების ცხრილი, რომელიც არ შეესაბამებოდა ვიზიტის პერიოდისათვის არსებულ მასწავლებელთა საათობრივ დატვირთვას. ვიზიტის პერიოდში დირექტორის ბრძანებით მოადგილეს დაევალა გაკვეთილების ცხრილის შედგენა. **დანართი N9.** სკოლამ წარმოადგინა დისტანციური სწავლებისთვის განკუთვნილი მასწავლებელთა სამუშაო განრიგი, თუ რომელ დღეს რომელ კლასში, რიგით რომელ გაკვეთილს ატარებს მასწავლებელი. საათობრივ ბადეში წარმოდგენილია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო და არჩევითი საგანი. სკოლაში ისწავლება შემდეგი არჩევითი საგნები: · X კლასი - „გეოგრაფიული კვლევები“, · XI კლასი - „XIX – XX საუკუნეების დასავლური ლიტერატურა“, · XII კლასი - „საქართველოს ეთნოგრაფია“. სკოლაში პრიორიტეტულია ისტორიისა და ინგლისური ენის სწავლება. საათობრივ ბადეში გაზრდილია ამ საგნების საათობრივი დატვირთვა. VII კლასი · ინგლისურში წლიურად დამატებულია ერთი საათი; VIII კლასი · <u>სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება ისწავლება მე-2 სემესტრში წლიური 40 სთ (გამოყენებულია 25% -იანი ცვლილება)</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	· <u>მუსიკა ისწავლება პირველ სემესტრში კვირაში 2 სთ, და მეორე სემესტრში 10 საათი სულ წლიური 40 სთ.</u> · საათები დამატებულია ინგლისურზე მთელი წლით კვირაში 2 სთ და ისტორიაში კი ერთი საათი. IX კლასი · <u>სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება ისწავლება მე-2 სემესტრში წლიური 40 სთ.</u> · <u>მუსიკა ისწავლება პირველ სემესტრში კვირაში 2 სთ, და მეორე სემესტრში 10 საათი სულ წლიური 40 სთ.</u> · ინგლისურს დამატებული აქვს ორი საათი მთელი წლის მანძილზე; · ისტორიას დამატებული აქვს ერთი საათი მთელი წლის მანძილზე. X კლასი · ინგლისურში დამატებულია სამი საათი XI კლასი · ინგლისურს დაემატა წლიურად ორი საათი; · ისტორიას დაემატა წლიურად ერთი საათი; XII კლასი · ინგლისურს დაემატა წლიურად ორი საათი; · ისტორიას დაემატა წლიურად ორი საათი. <u>სასკოლო სასწავლო გეგმის დანართი N3. საათობრივი ბადე VIII-IX კლასში, მუსიკასა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებაში, არ მიჰყვება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ კვირეულ საათობრივ დატვირთვას; სკოლას აღნიშნული საგნების სწავლების მოდელი შემუშავებული აქვს თავისი შეხედულებისამებრ, თუმცა არ არის წარმოდგენილი სამინისტროში დასაბუთება, თუ როგორ შეუწყობს ხელს სკოლის მიერ განსაზღვრული საათობრივი დატვირთვა სტანდარტის შედეგების მიღწევას.</u> **<u>რეკომენდებულია, რომ სკოლამ სამინისტროში წარადგენოს შესაბამისი დასაბუთება, თუ როგორ შეუწყობს ხელს სკოლის მიერ განსაზღვრული საათობრივი დატვირთვა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნის სტანდარტის შედეგების მიღწევას.</u>** ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი/გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების სახით შპს სკოლა ,,ჩირაღდანი“ მოსწავლეებს სთავაზობს შემდეგ საგნებს ფაკულტატური სახით: · მათემატიკა - VI -VII კლასი - კვირაში 4 საათი, · ჭადრაკი - I- V კლასი - კვირაში 6 საათი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	· მხატვრული კითხვა - VII – VIII კლასი - კვირაში 4 საათი. ვიზიტის პერიოდში სკოლას ვთხოვეთ წარმოედგინა ფაკულტატური საგნების (მათემატიკა, ჭადრაკი, მხატვრული კითხვა) სწავლების განმახორციელებელი პირის მიერ შემუშავებული სასწავლო გეგმა. სკოლამ მოგვაწოდა მათემატიკის წრის სამუშაო გეგმა, სამუშაო გეგმა სახელწოდებით ქართული ენისა და ლიტერატურის წრე და ჭადრაკის წიგნის დასახელება. **რეკომენდებულია, რომ სკოლას ჰქონდეს თითოეული დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებისთვის ამ მომსახურების განმახორციელებელი პირის მიერ შემუშავებული სასწავლო გეგმა ეროვნული სასწავლო გეგმის (მუხლი 22) მოთხოვნის შესაბამისად.** **<u>სკოლა „ჩირაღდანში“ მეორე უცხოურ ენად ისწავლება მხოლოდ რუსული ენა. სკოლა მოსწავლეებს არ სთავაზობს დამატებით სხვა რომელიმე უცხოურ ენას ასარჩევად.</u>** მშობლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მოსწავლეებს არ ჰქონდათ არჩევანი მეორე უცხოური ენის სწავლაში. აღნიშნული წინააღმდეგობაში მოდის ეროვნულ სასწავლო გეგმასთან (მუხლი 48). **რეკომენდებულია, რომ სკოლამ მოსწავლეებს მინიმუმ ორი უცხოური ენა შესთავაზოს ასარჩევად.** სასკოლო სასწავლო გეგმის საათობრივი ბადეში სავალდებულო საგანია ფიზიკური აღზრდა და სპორტი, ხოლო სპორტის სახეობებად განსაზღვრულია მინი ფეხბურთი, ფრენბურთი და ჭადრაკი. <u>ვიზიტის პერიოდში სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ნაცვლად ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილისა ტარდება ჭადრაკის გაკვეთილები დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე.</u> ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, სპორტის საგნობრივი ჯგუფის მიზანია, ჩააბას მოსწავლე ფიზიკურ აქტივობებში და ამ გზით შეუწყოს ხელი მის ფიზიკურ განვითარებას, ასევე, მოსწავლემ გააცნობიეროს ჯანსაღი ცხოვრების მნიშვნელობა ადამიანის ცხოვრებაში. მართალია, ჭადრაკი სპორტის საგნობრივ ჯგუფში შემავალი (არჩევითი) საგანია, მაგრამ ის სავალდებულო საგნების (ფიზიკური აღზრდა, ფიზიკური აღზრდა და სპორტი) ჩანაცვლებას ვერ უზრუნველყოფს, რადგან მისი სწავლებით შეუძლებელია სპორტის საგნობრივი ჯგუფის მიზნის მიღწევა. **რეკომენდებულია, რომ სკოლამ უზრუნველყოს სავალდებულო საგნების, ფიზიკური აღზრდისა და ფიზიკური აღზრდა და სპორტის, სწავლება.** აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის მისიის პრიორიტეტებსა და მისაღწევი საშუალებათა შორის არის:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა და ამ მიმართულებით განსახორციელებელი ამოცანები (სპორტული ღონისძიებების ჩატარება და მრავალფეროვანი სპორტული სახეობების, მრავალფეროვანი აქტივობების შეთავაზება). სკოლაში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ნაცვლად ტარდება ჭადრაკი. • ლაბორატორიული და ტექნოლოგიური სამუშაოების გამოყენებას სწავლა/სწავლების პროცესში. გასაუბრებითა და ლაბორატორიის დათვალიერებით ვერ დასტურდება, რომ ლაბორატორიული და ტექნოლოგიური სამუშაოები სწავლების პროცესის ნაწილია. • ინტეგრირებული გაკვეთილების ხშირი ჩატარება. გასაუბრებითა და წარმოდგენილი დოკუმენტაციით ვერ დადასტურდა, რომ ინტეგრირებული გაკვეთილები სკოლის პრაქტიკის ნაწილია. • წრეობრივი მუშაობისა და ფაკულტატური მეცადინეობების დანერგვა. მოსწავლეებისათვის ფაკულტატური სახით შეთავაზებულია მხოლოდ ჭადრაკი I-V კლასებში, მათემატიკა VI-VII კლასებში, მხატვრული კითხვა -VII-VIII კლასებში. **აქედან გამომდინარე, მივიჩნევთ, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა არ გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და არ შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო სასწავლო გეგმა, • პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N1. 08/09/2021, • სკოლის შინაგანაწესი, • **დანართი N9.** • ლაბორატორიის დათვალიერება, • დირექციასთან გასაუბრება, • გასაუბრება მშობლებთან, • გასაუბრება მოსწავლეებთან, • გასაუბრება მასწავლებლებთან.
შეფასება:	☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლამ წარმოადგინა საგნობრივი პროგრამები - თითოეულ საგანში შემუშავებულია საგნობრივი პროგრამები კლასების მიხედვით. საგნობრივ პროგრამებში, მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, I – IX კლასებში წარმოდგენილია ახალი საგნობრივი სტანდარტები. სტანდარტები ითვალისწინებს თემებით სწავლებას, სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გაგება-გააზრებას, მოცემულია კომპლექსური დავალებები. სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია სადამრიგებლო პროგრამები თითოეული კლასის შესაბამისად. დამრიგებლის მუშაობა წარიმართება შემდეგი ფორმით: საუბრები მოსწავლეებთან, დისკუსიები კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით, მოსწავლეთა მშობლებთან, საგნის პედაგოგებთან აქტიური თანამშრომლობა. სკოლაში ყველა კლასს ჰყავს დამრიგებელი. სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, დამრიგებელმა IX და XI კლასებში უნდა ჩაატაროს პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის გაკვეთილები, განსაზღვროს მათი განრიგი, მათ შორის დასაქმების ობიექტებში ექსკურსიები, ასევე განსაზღვროს მოწვეულ სპეციალისტებთან შეხვედრის განრიგი. მოსწავლეებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ დამრიგებელი უზრუნველყოფს კოლაში სხვადასხვა უნივერსიტეტებთან და პროფესიულ კოლეჯებთან შეხვედრების ორგანიზებას, ეხმარება მათ კარიერის დაგეგმვასა და პროფესიული ორიენტაციის განსაზღვრაში. სკოლაში ფუნქციონირებს 4 კათედრა. თითოეულ კათედრას ჰყავს თავმჯდომარე და აერთიანებს შესაბამისი მიმართულების საგნებს. ეს კათედრებია: · მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და საბუნებისმეტყველო საგნების კათედრა, · ქართული ენისა და ლიტერატურის და უცხოური ენების კათედრა. · საზოგადოებრივი მეცნიერებების, ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის კათედრა, · დაწყებითი საფეხურის კათედრა. შპს სკოლა ,,ჩირაღდნის“ სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია სასწავლო წლის მანძილზე ჩასატარებელი შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა. მათ შორის განსაზღვრული არ იყო XII კლასში ისტორიის საგანსა და დაწყებით საფეხურზე შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა. ვიზიტის პერიოდში სკოლამ გაასწორა XII კლასში ისტორიის შემაჯამებელი დავალებების რაოდენობასთან დაკავშირებული ტექნიკური შეცდომა. რაც შეეხება დაწყებით კლასებში შემაჯამებელი დავალებების კომპონენტს, სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ სკოლა დაწყებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	კლასებში ატარებს შემაჯამებელ გაკვეთილებს, რომელის საფუძველზე დაწყებითი კლასის მოსწავლეები იღებენ განმავითარებელ შეფასებას. თუმცა სკოლის მიერ შესაბამისი, მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია ვერ იქნა წარმოდგენილი. სკოლამ ასევე წარმოადგინა პორტფოლიო შემაჯამებელი სამუშაოების ამსახველი მასალებით. ჩატარებული შემაჯამებელი დავალების ნიმუშები ძირითადად წარმოდგენილი იყო ტესტური დავალებების სახით და მეტწილად ორიენტირებული იყო დეკლარატიული ცოდნის შემოწმებაზე. შემაჯამებელი დავალების შეფასების რუბრიკები იყო ზოგადი და საჭიროებდა შეფასების კრიტერიუმების დეტალიზებას დავალების პირობასთან მიმართებით. ვიზიტის პერიოდში სკოლას ვთხოვეთ წარმოედგინა შემაჯამებელი დავალების ამსახველი დოკუმენტაცია, რომელშიც წარმოდგენილი იქნებოდა დავალების პირობა და საგნის სტანდარტის ის შედეგი/შედეგები, რომლის შეფასებასაც ემსახურება კონკრეტული შემაჯამებელი დავალება. სკოლის მიერ დამატებით წარმოდგენილი შემაჯამებელ დავალებები - გეოგრაფიაში, ბუნებისმეტყველებაში, ისტორიაში სამოქალაქო განათლებაში, მათემატიკაში, მუსიკისა და ხელოვნებაში ძირითადად ორიენტირებული იყო ფაქტობრივ ცოდნაზე, შესაბამისად ვერ ამოწმებდა მოსწავლეთა მაღალ სააზროვნო უნარებს. სკოლას დამატებით წარმოდგენილი ჰქონდა კომპლექსური დავალებების ნიმუშები. მოსწავლეებთან ინტერვიურების შედეგად დადგინდა რომ მსგავსი ტიპის დავალებებს აკეთებენ <u>მხოლოდ ისტორიასა და ინგლისურში.</u> **რეკომენდებულია სკოლამ შემაჯამებელი დავალების კომპონენტში დანერგოს კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება და აწარმოოს შემაჯამებელი დავალების ამსახველი დოკუმენტაცია ეროვნული სასწავლო გეგმის 32-ე პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად.** <u>აქვე კვლავ უნდა აღინიშნოს, რომ სკოლაში ნაცვლად ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილისა ტარდება ჭადრაკის გაკვეთილები დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე. გასაუბრებითა და ლაბორატორიის დათვალიერებით ვერ დასტურდება, რომ ლაბორატორიული და ტექნოლოგიური სამუშაოები სწავლების პროცესის ნაწილია.</u> სკოლამ სასკოლო პროექტების, სპორტული, სახელოვნებო და საკლუბო აქტივობების (მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლების ჩართულობით) საშუალებით ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას, სკოლის საზოგადოების წევრებისთვის შემოქმედებითი და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	თანამშრომლობითი გარემოს შექმნას. სკოლამ ვერ წარმოადგინა ამ მიმართულებით განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ვერც მოსწავლეები ასახელებენ განხორციელებულ სასკოლო პროექტებს. **აქედან გამომდინარე ექსპერტებისათვის ბუნდოვანი დარჩა რამდენად ხდება შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნების დაკმაყოფილება და ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შესაძენად შესაბამისი გარემოს შექმნა.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• საგნობრივი გეგმები, • სასკოლო სასწავლო გეგმა, • ჩატარებული შემაჯამებელი დავალებები, • შემაჯამებელი დავალების ანალიზი, • კლასის დამრიგებლების სამუშაო გეგმები, • კათედრის ხელმძღვანელების ანგარიშები, • დირექციასთან გასაუბრება, • მასწავლებლებთან გასაუბრება, • მოსწავლეებთან გასაუბრება.
შეფასება:	☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ვიზიტის პერიოდში სკოლაში ირიცხებოდა 78 მოსწავლე. კლასები მცირერიცხოვანი იყო გარდა XII კლასისა, რომელშიც ირიცხებოდა 16 მოსწავლე. სკოლას არ ჰყავდა IX კლასი. სკოლას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე არ ჰყავდა. მოსწავლეები და მშობლები აღნიშნავდნენ, რომ კლასში მოსწავლეთა მცირე რაოდენობა დადებითად აისახება მოსწავლეების სწავლის შედეგებზე, რადგან მასწავლებლები ყოველ გაკვეთილზე ახერხებენ ინდივიდუალურად იმუშაონ მოსწავლეებთან. სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილია თავი ინკლუზიური სწავლების შესახებ. რომელშიც აღნიშნულია, რომ „ინკლუზიური განათლების შემთხვევაში სკოლა მზადაა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე ჩართოს საგანმანათლებლო პროცესში სხვა მოსწავლეებთან ერთად.“ მოცემულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შემადგენლობა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის კომპონენტები და სსსმ მოსწავლის შეფასების საკითხი. წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმა. სასკოლო სასწავლო გეგმაში არ არის განსაზღვრული სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას მოსწავლისათვის სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების იდენტიფიცირებისა და მართვის საკითხები, სკოლის ვალდებულებები, ისგ ჯგუფის მუშაობის წესები. **რეკომენდებულია, რომ სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილში ინკლუზიური განათლების შესახებ აისახოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №16/ნ ბრძანებით განსაზღვრული რეგულაციები.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო სასწავლო გეგმა, • დირექციასთან გასაუბრება, • EMIS-ის მოსწავლეთა ბაზა.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები, მიზნები, პრინციპები და ამოცანები. გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია შემაჯამებელი დავალებების ჩატარებისა და გაცდენილი შემაჯამებელი დავალების აღდგენის წესები და პირობები, აგრეთვე შემაჯამებელი დავალებების შეფასების კრიტერიუმების გაცნობის წესი. მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ საგნის მასწავლებლები აცნობენ მოსწავლეებს შეფასების კრიტერიუმებს. შეფასების სქემები გამოკრულია საკლასო ოთახებში. მოსწავლეებისა და მშობლებისათვის ელექტრონულ ჟურნალში ეცნობიან მიღებულ შეფასებებს. სასკოლო გეგმით განსაზღვრულია კლასისა და საფეხურის დაძლევის ბარიერები, სემესტრული, წლიური და საფეხურის ქულების გაანგარიშების წესები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო სასწავლო გეგმა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• შეფასების რუბრიკები საგნების მიხედვით, • შემაჯამებელი დავალებები, • მოსწავლეებთან გასაუბრები, • მასწავლებლებთან გასაუბრები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მშობლის ინფორმირების წესი ცალკე დოკუმენტის სახით დამტკიცებული არ არის, თუმცა სასკოლო სასწავლო გეგმაში დეტალურად არის გაწერილი დამრიგებლის მოვალეობები. მათ შორისაა მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირება. დამრიგებელი ვალდებულია გააცნოს მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მათი უფლებები და მოვალეობები (სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ეთიკის კოდექსი, სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი საკითხები და სხვ.) რეგულარულად მიაწოდოს მშობელს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მიღწევის, დისციპლინის, პიროვნული პრობლემებისა თუ წარმატებების შესახებ. დაუშვებელია ერთი მოსწავლის დისციპლინისა და აკადემიური მიღწევის შესახებ სხვა მოსწავლის/მშობლის თანდასწრებით საუბარი; საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებელი პირადად ხვდება დაინტერესებულ მშობელს და აწვდის მას მოსწავლესთან და სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებულ ინფორმაციას. საკუთარი და სხვა მასწავლებლებისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მშობლების ინფორმირებისათვის იყენებენ ინდივიდუალურ გასაუბრებას, მშობელთა კრებებს, ელექტრონულ შეტყობინებებს, სატელეფონო საუბრებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო სასწავლო გეგმა, • ადმინისტრაციასთან გასაუბრება, • დამრიგებლებთან გასაუბრება, • მშობლებთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილია თავი „სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების, მონიტორინგის, შეფასებისა და გადახედვის პროცესის“ შესახებ. სასკოლო სასწავლო გეგმაში არსებული **<u>ჩანაწერის მიხედვით</u>** შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მიზნით მონიტორინგი მუდმივად მიმდინარეობს. ხდება მონაცემთა შეგროვება მოსწავლეებისა და მასწავლებლების მიღწევების შესახებ, რათა აღნიშნული ინფორმაცია გამოიყენებოდეს სწავლების პრაქტიკის გაუმჯობესებისა და მოსწავლეთა შედეგების ამაღლების მიზნით. სკოლამ წარმოადგინა სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი. დოკუმენტი ერთგვერდიანია. მასში აღნიშნულია, რომ სკოლაში მუდმივად უნდა მოხდეს საგანმანათლებლო პროცესის დიაგნოსტირება, სასწავლო გეგმის და სწავლების ხარისხის შეფასება. სწავლების ხარისხის შეფასების ციკლი შედგება შემდეგი ეტაპებისაგან: „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“. <u>სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმში არ არის აღწერილი, სკოლა „ჩირაღდანში“ ხარისხის შეფასების ციკლის თითოეულ ეტაპზე განსახორციელებელი კონკრეტული აქტივობები, ვადები და პასუხიმგებელი პირები.</u> **აქედან გამომდინარე, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი ვერ ჩაითვლება სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმად.** <u>სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით ვერ დგინდება, თუ როგორ ხორციელდება სკოლაში სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებასა და შემდგომი გაუმჯობესების პროცესი. შეფასების მიმართულებით განხორციელებული აქტივობებისა და რეაგირების დამადასტურებელი დოკუმენტაცია სკოლამ ვერ წარმოადგინა.</u> წარმოდგენილი იყო მხოლოდ კითხვარები და ჩატარებული გამოკითხვის ამსახველი ნიმუშები. **რეკომენდებულია, რომ სკოლამ შეიმუშავოს და დანერგოს სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი, რომელშიც აღწერილი იქნება ამ მიმართულებით განსახორციელებელი კონკრეტული აქტივობები, ვადები და პასუხისმგებელი პირები.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო სასწავლო გეგმა, • სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი, • კითხვარები, • გასაუბრება დირექციასთან,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• გასაუბრება მასწავლებლებთან.
შეფასება:	☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	· რეკომენდებულია, რომ სკოლამ სამინისტროში წარადგინოს შესაბამისი დასაბუთება, თუ როგორ შეუწყობს ხელს სკოლის მიერ განსაზღვრული საათობრივი დატვირთვა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნის სტანდარტის შედეგების მიღწევას. · რეკომენდებულია, რომ სკოლამ უზრუნველყოს სავალდებულო საგნების, ფიზიკური აღზრდისა და ფიზიკური აღზრდა და სპორტის, სწავლება. · რეკომენდებულია, რომ სკოლამ სასწავლო პროცესში დანერგოს ლაბორატორიული სამუშაოები. დანერგოს სასკოლო პროექტების, სპორტული, სახელოვნებო და საკლუბო აქტივობები. · რეკომენდებულია, რომ სკოლამ შეიმუშავოს და დანერგოს სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი, რომელშიც აღწერილი იქნება ამ მიმართულებით განსახორციელებელი კონკრეტული აქტივობები, ვადები და პასუხისმგებელი პირები.
რჩევები:	-
ხარვეზები:	· ნაცვლად ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილისა ტარდება ჭადრაკის გაკვეთილები დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე. · სასკოლო სასწავლო გეგმა არ გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და არ შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. · საათობრივი ბადე VIII-IX კლასში, მუსიკასა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, არ მიჰყვება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ კვირეულ საათობრივ დატვირთვას; სკოლას აღნიშნული საგნების სწავლების მოდელი შემუშავებული აქვს თავისი შეხედულებისამებრ, თუმცა არ არის წარმოდგენილი სამინისტროში დასაბუთება, თუ როგორ შეუწყობს ხელს სკოლის მიერ განსაზღვრული საათობრივი დატვირთვა სტანდარტის შედეგების მიღწევას. · სკოლაში ნაცვლად ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილისა ტარდება ჭადრაკის გაკვეთილები დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე. გასაუბრებითა და ლაბორატორიის დათვალიერებით ვერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დასტურდება, რომ, სკოლის მისიის შესაბამისად, ლაბორატორიული და ტექნოლოგიური სამუშაოები სასწავლო პროცესის ნაწილია. სასკოლო პროექტები, სპორტული, სახელოვნებო და საკლუბო აქტივობები არ ტარდება. სკოლამ ვერ წარმოადგინა ამ მიმართულებით განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ვერც მოსწავლეები ასახელებენ განხორცილებეულ სასკოლო პროექტებს. · სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმში არ არის აღწერილი, სკოლა „ჩირაღდანში“ ხარისხის შეფასების ციკლის თითოეულ ეტაპზე განსახორცილებელი აქტივობები. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით საფუძველზე ვერ დგინდება, თუ როგორ ხორციელდება სკოლაში სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებასა და შემდგომი გაუმჯობესების პროცესი.
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ სტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	
ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი: 1748.1	
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს „სკოლა ჩირაღდანის“ (ს/კ 216342330) საკუთრებაშია ქ. რუსთავში, VII მიკრო/რაონში, 2206.00 კვ.მ. ფართობის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობას შპს „სკოლა ჩირაღდანი“ ფლობს თანასაკუთრების უფლებით. შენობის განაშენიანების ფართი შეადგენს 1240.21 კვ.მ-ს.; საერთო სასარგებლო ფართი - 3720.63 კვ.მ.-ს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შპს „სკოლა ჩირაღდნის“ საკუთრებაშია შენობის ჯამში 1748.1 კვ.მ. ფართობი. კერძოდ, I სართული - 73,35 კვ.მ.; II სართული - 916.97 კვ.მ.; III სართული - 660.36 კვ.მ.; სხვენი - 97,42 კვ.მ.; სკოლამ წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან მიწის ნაკვეთის საკუთრების შესახებ (2022 წლის 6 იანვრით თარიღდება) და შენობის საკუთრების შესახებ (2022 წლის 05 იანვრით თარიღდება). საჯარო რეესტრის ამონაწერით შპს „სკოლა ჩირაღდანის“ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი და შენობის ფართი დატვირთულია იპოთეკით. ექსპერტთა მიერ მოთხოვნილ იქნა საჯარო რეესტრის ამონაწერის განახლება. განახლებული ამონაწერი არ იქნა წარმოდგენილი იმ მიზეზით, რომ საჯარო რეესტრში ვიზიტი საავტორიზაციო ვიზიტის პერიოდში ვერ მოხერხდებოდა. სკოლა განთავსებულია შენობის პირველ და მეორე სართულებზე. პირველ სართულზე არის ფოიე/შესასვლელი. დგას დარაჯის მაგიდა. მეორე სართულზე არის დირექტორის კაბინეტი, 11 საკლასო ოთახი, ჭადრაკის ოთახი, კომპიუტერების ოთახი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, სასკოლო ღონისძიებებისათვის განკუთვნილი ოთახი, ექთნის ოთახი, სველი წერტილები. მესამე სართული არ არის კეთილმოწყობილი. დასაწყობებულია მერხები და სხვა ინვენტარი. სკოლის საკუთრებაში არსებულ ფართში შესვლა შესაძლებელია 2 შესასვლელით. აქედან 1 შესასვლელით სარგებლობენ სკოლის მოსწავლეები. 1 შესასვლელი შენობის თანამესაკუთრეთა საზიარო ნაწილში მდებარეობს. ეს არის კიბის უჯრედი, რომელსაც სკოლისათვის მხოლოდ საევაკუაციო გასასვლელის დანიშნულება აქვს. სკოლამ წარმოადგინა თანასაკუთრებაში არსებული შენობის ორი აზომვითი ნახაზი, რომელიც შესრულებულია სხვადასხვა კომპანიის მიერ. დოკუმენტებზე არ არის მითითებული სამუშაოს შესრულების თარიღი. შპს „ლიბოს“ მიერ მომზადებულ აზომვით ნახაზზე, რომელიც გამოჰყოფს შპს „სკოლა ჩირაღდანის“ საკუთრებაში არსებულ ფართს, არ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	იკითხება ოთახების ფართობი. შპს „ლაციოს“ მიერ მომზადებულ აზომვით ნახაზზე იკითხება ოთახების ფართობი, მაგრამ არ არის გამიჯნული თანამესაკუთრეთა მფლობელობაში არსებული ფართი. დათვალიერებით დადგინდა შეუსაბამობა შენობის მეორე სართულზე ოთახების რეალურ რაოდენობასა და აზომვით ნახაზებზე მოცემულ სურათს შორის. სკოლის დირექტორის განმარტებით, სარემონტო სამუშაოების დროს მოხდა რამდენიმე მცირე ზომის ოთახის გაერთიანება; კერძოდ, ბიბლიოთეკის, ლაბორატორიის, დარბაზის, ჭადრაკის ოთახი, დირექტორი კაბინეტი, და მე-12 კლასების ოთახი არის ოთახების გაერთიანებით მიღებული. სკოლა აღნიშნულ შენობაში ფუნქციონირებს 2011 წლიდან. რადგან აზომვითი ნახაზი არ ასახავს მეორე სართულის რეალურ სურათს, მხოლოდ ადგილზე გაკეთებული მონიშვნებით და ზეპირი განმარტებით, შეუძლებელია ყველა ოთახის ზუსტი ფართობის განსაზღვრა. სკოლას მიეცა რეკომენდაცია განაახლოს აზომვითი ნახაზი.
ფაქტობრივი მისამართი	ქ. რუსთავი, მიკრო/რაონი VII
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	02.03 .04.475
კვ.მ.	2206.00
მტკიცებულებები/ინდიკატორები	· ამონაწერი საჯარო რეესტრიდან მიწის ნაკვეთის საკუთრების შესახებ, N 882022003235 , 06/01/2022 · ამონაწერი საჯარო რეესტრიდან შენობის საკუთრების შესახებ, N 382022003289, 05/01/2022 · აზომვითი ნახაზებით, · სკოლის დირექტორთან გასაუბრებით, · დათვალიერებით.
შეფასება	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში მოწყობილი იყო 11 საკლასო ოთახი. საკლასო ოთახებში განთავსებულია ინდივიდუალური მერხები, მასწავლებლის მაგიდა და სასკოლო დაფა. სკოლა ავტორიზებულია მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობით 253. ვიზიტის პერიოდში სკოლაში ირიცხებოდა 78 მოსწავლე. თითოეულ საკლასო ოთახში განთავსებული იყო კლასში მოსწავლეთა რიცხოვნობის შესაბამისი მერხები - სულ 78 მერხი. მერხებისა და სხვა სასკოლო ინვენტარის ფლობა შესყიდვის დოკუმენტაციით არ დასტურდება. <u>სკოლის მიერ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფლობის მტკიცებულებად წარმოდგენილია დამოუკიდებელი აუდიტის 2 დასკვნა, რომლებიც თარიღდება 2012 წლით.</u> დასკვნის თანახმად, 2012 წლის 28 თებერვლის მდგომარეობით, სკოლა ფლობდა 39 ცალ ერთადგილიან მერხს, 210 ცალ ორადგილიან მერხს და 280 ცალ სკამს. 2012 წელს შესრულებულ აუდიტის დასკვნაში წარმოდგენილია დანართი სახელწოდებით „ინვენტარის რეესტრი ბუღალტრული რეგისტრების ჩანაწერების მიხედვით“, რომლის მიხედვით, 2012 წლის მდგომარეობით, სკოლის საკუთრებაში არსებული მერხებიდან და სკამებიდან 50 შესაკეთებელი მერხი და 90 შესაკეთებელი სკამი იყო, ხოლო 190 თვითნაკეთი სკამი). აუდიტის დასკვნის მიხედვით, შპს „ჩირაღდნის“ დამფუძნებელთა მიერ სკოლისათვის გადაცემული სასკოლო ინვენტარი ექსპლუატაციაში ნამყოფი, მაგრამ დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. ***<u>დანართი N1. აუდიტის დასკვნები</u>*** მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის შესაბამისი მერხების ფლობის დასადასტურებლად სკოლამ წარმოადგინა შენობის მესამე სართულზე დასაწყობებული მერხები და სკამები. ადგილზე დათვალიერებით, <u>დასაწყობებული ინვენტარი, განსაკუთრებით, სკამები დაზიანებული, უმეტესად გამოუსადეგარია. დასაწყობებული მერხები და სკამები საჭიროებს ინვენტარიზაციას, რათა დადგინდეს მათგან რამდენია გამოსაყენებლად ვარგისი.</u> ***<u>დანართი N2. ფოტო</u>*** **<u>აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი დოკუმენტაცია, დასაწყობებული მერხები და სკამები ვერ ჩაითვლება სკოლაში ამჟამად არსებული სასკოლო ინვენტარის ფლობის მტკიცებულებად.</u>** **<u>რეკომენდებულია, სკოლამ აღრიცხოს და დაადასტუროს საკუთრებაში არსებული ვარგისი მერხებისა და სკამების რაოდენობა.</u>**
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	· აზომვითი ნახაზები, · აუდიტის დასკვნები, · ქონებრივი დეკლარაცია,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	· ინტერვიუ დირექტორთან, · ადგილზე დათვალიერებით, · EMIS ამონაწერი · ***დანართი N1. აუდიტის დასკვნები*** · ***დანართი N2. ფოტო*** · ***დანართი N3. ფოტო***
შეფასება:	☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას დაქირავებული აქვს ახლოს მდებარე სპორტული დარბაზი. ქირავნობის ვადაა 2021 წლის 06 სექტემბრიდან 2022 წლის 30 ივნისამდე. ხელშეკრულების განახლება ახალი პირობებით იგეგმება 2022 წლის სექტემბერში. ხელშეკრულებით განსაზღვრულია, რომ დარბაზი სკოლას გადაეცემა ყოველ დღე გარდა შაბათ-კვირისა 12:00 საათიდან 15:00 საათამდე. ამასთან დამქირავებელი ვალდებულია წინასწარ აცნობოს მფლობელს, როდის დასჭირდება დარბაზით სარგებლობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	· ხელშეკრულება, 06/09/2021 · დარბაზის დათვალიერება, · გასაუბრება დირექტორთან, · გასაუბრება მასწავლებლებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში გამოყოფილია ოთახი საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისათვის. ლაბორატორიის ინვენტარი განთავსებულია ღია თაროებსა და კარადებში. ოთახში არ არის გამწოვი. განიავება უზრუნველყოფილია ფანჯრით. ოთახში არ არის ონკანი, არ არის გამოკრული ლაბორატორიაში ქცევის წესები, არ დგას მერხები და სკამები მოსწავლეებისათვის. არ არის წარმოადგენილი ლაბორატორიაში ჩატარებული ცდების ამსახველი ჩანაწერები. **რეკომენდებულია, რომ ლაბორატორიის აღჭურვილობა განთავსდეს დახურულ კარადებში. ლაბორატორიაში დამონტაჟდეს ონკანი. განთავსდეს**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ლაბორატორიით სარგებლობისა და უსაფრთხოების წესები. ლაბორატორია აღიჭურვოს მერხებითა და სკამებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	· შპს „ინსტა-ჯორჯიასთან“ გაფორმებული ლაბორატორიის ნასყიდობის ხელშეკრულება, 22/02/2012 · დათვალიერებით, · დირექტორთან გასაუბრებით.
შეფასება:	☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დადებულია ხელშეკრულება სკოლის მოსაზღვრედ მდებარე შპს „ჰაიმედთან“ ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა. არის თბილი წყალი. მოსწავლეებისათვის განკუთვნილი საპირფარეშოები არის თურქული ტიპის (4 სველი წერტილი გოგონებისათვის, 4 სველი წერტილი ბიჭებისათვის). 1 სველი წერტილი განკუთვნილია მასწავლებლებისათვის, რომელიც, ასევე, ადაპტირებულია ეტლითმოსარგებლე პირებისათვის (დამონტაჟებულია საყრდენი მოაჯირი). სკოლაში არის ბუნებრივი განათების შესაძლებლობა. სკოლაში ვიზიტის პერიოდში საკლასო ოთახებში არ იყო ნათურები. დირექტორის განმარტებით, ნათურები მოხსნილია ელ. ენერგიის ხარჯების დაზოგვის მიზნით. სკოლაში არის ცენტრალური გათბობის სისტემა. გათბობის ბატარეა არ იყო დამონტაჟებული კომპიუტერების ოთახში, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიასა და ექთნის ოთახში. სკოლის დირექტორის განმარტებით, აღნიშნული ოთახების გათბობა ზამთარში ელ.ღუმელების გამოყენებით ხდებოდა. ვიზიტის პერიოდში ელ. ღუმელები არ იყო განთავსებული. სკოლამ ვერ წარმოადგინა აღნიშნული საშუალებების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. **საკლასო ოთახებში ნათურების არ არსებობა, კომპიუტერულ ლაბორატორიაში, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიასა და ექთნის ოთახში გათბობის არარსებობა ვერ უწყობს ხელს სრულად იყოს უზრუნველყოფილი საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი გარემო.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	რეკომენდებულია, რომ საკლასო ოთახებში დამონტაჟდეს ნათურები. უზრუნველყოფილი იყოს კომპიუტერულ ლაბორატორიის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიისა და ექთნის ოთახის გათბობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	· შეთანხმება შპს „ჰაიმედთან“, 15/09/2022 · კომუნალური გადახდის ქვითრებით, · დათვალიერებით, · დირექტორთან გასაუბრებით.
შეფასება:	☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არის ბიბლიოთეკა. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად ბიბლიოთეკაში არსებული მატერიალური რესურსი (თაროები და მაგიდები) სკოლის დროებით მფლობელობაშია 2019 წლის 7 ნოემბრიდან 4 წლის ვადით. თაროები და მაგიდები გადაცემულია სკოლისათვის ააიპ რუსთავის საბიბლიოთეკო გაერთიანება ილია ჭავჭავაძის სახელობის მთავარი ბიბლიოთეკის ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ. ბიბლიოთეკის კატალოგის მიხედვით მხატვრული ლიტერატურის ოდენობა შეადგენს 675 ერთეულს, ხოლო სასკოლო სახელმძღვანელოების - 146 ერთეულს. წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის ნაწილი არის ძველი გამოცემები. წიგნები დამტვერილია. მცირეა თანამედროვე ლიტერატურა, ახალი გამოცემები. ბიბლიოთეკაში გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები. კარზე გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის საათები. მათზე მითითებულია განსხვავებული ინფორმაცია ბიბლიოთეკის სამუშაო საათების შესახებ. კარზე განთავსებული ინფორმაციით ბიბლიოთეკა მუშაობს 15:00 საათამდე, ხოლო სარგებლობის წესების მიხედვით 14:00 საათამდე. ბიბლიოთეკაში დგას ორი მაგიდა მკითხველთათვის. **რეკომენდებულია, რომ განახლდეს ბიბლიოთეკის მატერიალური რესურსი, წიგნადი ფონდი, პერიოდიკა, დაზუსტდეს ბიბლიოთეკის სამუშაო საათები.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	· საინვენტარო წიგნი, · მკითხველთა ფორმულარები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	· დათვალიერებით, · მიღება-ჩაბარების აქტი, 07/11/2019 · ბიბლიოთეკის დებულება, · ხელშეკრულება ბიბლიოთეკართან, · ბიბლიოთეკარის პირადი საქმე, · ბიბლიოთეკართან გასაუბრებით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემოს სსსმ მოსწავლისათვის. სკოლის შესასვლელში მოწყობილია პანდუსი. სკოლის შიდა კიბეზე დამონტაჟებულია ასაკეცი პანდუსი. მასწავლებლისთვის განკუთვნილი საპირფარეშო, რომელშიც ერთი სველი წერტილია, განკუთვნილია ეტლითმოსარგებლე პირთათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	· დათვალიერებით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში განთავსებულია 13 პერსონალური კომპიუტერი. მათგან მოსწავლეებისათვის ხელმისაწვდომია კომპიუტერულ ოთახში განთავსებული ინტერნეტით უზრუნველყოფილი 9 კომპიუტერი. 4 კომპიუტერს იყენებს ადმინისტრაცია. კომპიუტერები განთავსებულია დირექტორის, საქმისმწარმოებლის, ბიბლიოთეკარისა და ექთნის ოთახებში. **<u>ყველა კომპიუტერის საკუთრებაში ფლობის დამადასტურებელი შესყიდვის დოკუმენტაცია სკოლამ ვერ წარმოადგინა. ჩუქების აქტით დასტურდება, მხოლოდ 5 კომპიუტერის ფლობა.</u>**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	<u>აღსანიშნავია, ასევე, რომ სკოლას არ აქვს პროექტორი და ლეპტოპი.</u> აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ საგაკვეთილო პროცესში ციფრული რესურსების გამოყენება ვერ ხერხდება. ვებ-გვერდზე განთავსებულია დაწესებულების მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია. გამოქვეყნებულია სკოლის მისია, შინაგანაწესი და სასკოლო სასწავლო გეგმა. <u>ვებ-გვერდზე არ არის გამოქვეყნებული ინფორმაცია სკოლაში დაგეგმილი თუ ჩატარებული აქტივობების შესახებ.</u> სიახლეების ველში გამოქვეყნებულია მხოლოდ კათედრებისა და პედაგოგიური საბჭოს შეკრებების ჩატარების შესახებ ინფორმაცია. სკოლა იყენებს ელ. ჟურნალს. **რეკომენდებულია, რომ დადასტურდეს დოკუმენტურად კომპიუტერების საკუთრებაში არსებობა.** **რეკომენდებულია, რომ ვებ-გვერდი სრულყოფილად ასრულებდეს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, რისთვისაც პერიოდულად განთავსდეს სიახლეები.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	· ჩუქების აქტით · ადგილზე დათვალიერება · დომენისა და ჰოსტინგის ხელშეკრულებები · გადახდის დამატასტურებელი დოკუმენტაცია · ვებ-გვერდის დათვალიერებით https://chiragdani.ge/ · ხელშეკრულება ელ.ჟურნალთან დაკავშირებით · დირექტორთან გასაუბრება
შეფასება:	☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი „საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმა ხანძრის დროს“. სკოლის ფოიეში დამონტაჟებულია 2 ცეცხლმაქრი, ხოლო შენობის მეორე სართულზე 3 ცეცხლმაქრი საევაკუაციო გეგმის შესაბამისად ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება, რომ ცეცხლმაქრები დამუხტულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მართალია, სკოლის შენობაში საევაკუაციო გეგმის შესაბამისად განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და გადამუხტული ცეცხლმაქრები, მაგრამ დოკუმენტურად არ დასტურდება მათი მფლობელობა; **დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა ცეცხლმაქრების გადამუხტვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. არ არის წარმოდგენილი ყველა ცეცხლმაქრის საკუთრებაში ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ჩუქების აქტით დასტურდება სკოლისათვის მხოლოდ 2 ცეცხლმაქრის საჩუქრად გადაცემა.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• „საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმა ხანძრის დროს“ • ჩუქების აქტით, • დათვალიერებით, • გასაუბრებით.
შეფასება:	☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ ქვესტანდარტი დარღვეულია
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ევაკუაციის გეგმა. ევაკუაციის გეგმაზე ფერები არ არის მკაფიო, გახუნებულია. აქედან გამომდინარე, პირობითი ნიშნების (საევაკუაციო გასასვლელებისა და ცეცხლმაქრების) ადგილმდებარეობის განსაზღვრა რთულია. **რეკომენდებულია, რომ განახლდეს საევაკუაციო გეგმები, რათა ადვილად აღსაქმელი იყოს მასზე არსებული პირობითი ნიშნები.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ადგილზე დათვალიერებით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის მიერ წარმოადგენილია დოკუმენტები შპს „სკოლა ჩირაღდნის“ „საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმა პანდემიის დროს“ და „სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმი“. „სამედიცნო დახმარების აღმოჩენის მექანიზმი“ მოიცავს შემდეგ 6 პუნქტს: „1. სკოლაში არის ექიმის კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია პირველად დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო მედიკამენტებით. 2. პირველად დახმარებას ემსახურება სამედიცინო განათლების მქონე პირი - ექთანი. 3. მე-4 კლასამდე მოსწავლეს ექთნამდე აცილებს მასწავლებელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	4. მე-4 კლასის ზევით მოსწავლე თვითონ მიდის ექთნამდე. 5. ექთანი უწევს პირველად დახმარებას მოსწავლეს და ავსებს ანკეტას. გართულების შემთხვევაში ეძახის სამედიცინო დახმარების მანქანას. გადაყავთ შესაბამის დაწესებულებაში და ვამცნობთ მშობელს. 6. სამედიცინო დახმარებით შესაძლებელია ისარგებლოს სკოლის ყველა თანამშრომელმა და სკოლაში მყოფმა ყველა მშობელმაც.“ <u>აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი დოკუმენტი ვერ ასახავს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმებს, არ ასახავს პირველადი სამედიცინო დახმარების პროტოკოლს, ექთნის ვალდებულებებს, პაციენტის უფლებებს და სხვ.</u> სკოლაში გამოყოფილია სამედიცინო ოთახი. მედიკამენტები განთავსებულია <u>კარადაში, რომელსაც არ აქვს ჩამკეტი.</u> ექთანთან გასაუბრებით დადგინდა, მონაწილეობს ჰიგიენური განათლების პროგრამებში, ჰიგიენური უნარ-ჩვევების გამომუშავების ხელშემწყობ აქტივობებში. მონაწილეობს აღნიშნული დადასტურდა ექთნის პორტფოლიოში წარმოდგენილი მასალით, მოსწავლეთა ნამუშევრებით. სკოლის ექთანი იყენებდა ზემოაღნიშნული ბრძანებით დამტკიცებულ სკოლაში გაწეული სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმას. **რეკომენდებულია, რომ სკოლამ შეიმუშაოს „სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმი“, რომელშიც ასახული იქნება პირველადი დახმარების პროტოკოლი, პაციენტის უფლებები, ექიმის ვალდებულებები, სამედიცინო კაბინეტის ფუნქციონირებისთვის აუცილებელი რეგულაციები.** **რეკომენდებულია, რომ მოეწყოს სამედიცინო კაბინეტი 2022 წლის 21 მარტის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანების №41/ნ/01-23/ნ შესაბამისად.** კერძოდ, · კარადა ან ტუმბო სამედიცინო დოკუმენტების შესანახად (უნდა იკეტებოდეს); · სამედიცინო კაბინეტში უნდა არსებობდეს ხელოვნური ბარიერით (გამყოფი პანელი, ტიხრული შირმა) გამოყოფილი მცირე გასასინჯი სივრცე, პაციენტთა გასინჯვისას პრივატულობის უზრუნველყოფის მიზნით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ადგილზე დათვალიერებით, • ექთანთან ხელშეკრულება და პირადი საქმე • ექთანთან გასაუბრებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• ექთნის პორტფოლიო • „საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმა პანდემიის დროს“ • „სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმი“
შეფასება:	☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ ქვესტანდარტი დარღვეულია
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი „შპს სკოლა ჩირაღდანში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები.“ <u>სკოლის დირექტორის განმარტებით, რადგან სკოლა უცვლელად იყენებს მინისტრის ბრძანებით დამტკიცებულ წესს, არ იყო ვალდებული აღნიშნული წესი შეეთანხმებინა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. დოკუმენტის შესწავლით დადგინდა, რომ</u> **წარმოდგენილი წესი არ შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვარის №06/ნ ბრძანების კონსოლიდირებულ ვერსიას და აგრეთვე, არ ასახავს დაწესებულებაში არსებულ რეალურ სურათს.** კერძოდ, • <u>დოკუმენტის მე-5 მუხლში აღნიშნულია, რომ „სკოლის დირექცია ვალდებულია, ყველა სართულზე უზრუნველყოს ანონიმური ყუთის განთავსება.“ აღნიშნული რეგულაცია აღნიშნული ბრძანების კონსოლიდირებულ ვერსიას;</u> • <u>სკოლის დოკუმენტის 41-ე მუხლში აღნიშნულია, რომ „ვიდეოსათვალთვალო სისტემის ყოველდღიურ გამოყენებას და ადმინისტრირებას უზრუნველყოფს მანდატურის სამსახური.“ სკოლას არ ჰყავს მანდატურის სამსახური.</u> • <u>სკოლის დოკუმენტის მე-10 მუხლით მრჩეველთა საბჭოს არსებობა გათვალისწინებულია: სკოლის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ქმნის მრჩეველთა საბჭოს. სკოლას არ ჰყავს ბრძანებით დამტკიცებული უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭო.</u> დირექტორის განმარტებით, მრჩეველთა საბჭო ბრძანებით დამტკიცებული არ არის, რადგან დოკუმენტში უკვე არის განსაზღვრული მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობა. • <u>სკოლის დოკუმენტის მე-40 მუხლით დაუშვებელია ვიდეოთვალთვალის განხორციელება სკოლის საპირფარეშოში, გამოსაცვლელ ოთახებში, საკლასო ოთახში და სამასწავლებლოში. სკოლის ადგილზე დათვალიერებით დადგინდა,</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	<u>რომ უსაფრთხოების კამერა დამონტაჟებულია კომპიუტერულ ლაბორატორიაში. კამერა იყო გამორთული.</u> **ამგვარად დარღვეულია „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“** • **მე-2 მუხლი, რომლის თანახმად, კერძო სკოლა ვალდებულია იხელმძღვანელოს წესით და დაიცვას იგი ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებით შეიმუშაოს შესაბამისი წესი, რომელიც უზრუნველყოფს ამ წესით განსაზღვრული პრინციპების სრულად დაცვასა და ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას.** სკოლის საშტატო განრიგით გათვალისწინებულია უსაფრთხოების მენეჯერისა და დაცვის საშტატო ერთეული. <u>ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰყავდა უსაფრთხოების მენეჯერი და დაცვა. სკოლას გამოცხადებული ჰქონდა კონკურსი უსაფრთხოების მენეჯერისა და დაცვის თანამშრომლის ვაკანტურ პოზიციებზე.</u> ვაკანსიის საჭიროება შეიქმნა, რადგან აღნიშნულ პოზიციებზე დასაქმებულმა პირმა დატოვა სამსახური, გაემგზავრა საზღვარგარეთ. დირექტორის განმარტებით, სკოლის უსაფრთხოების მენეჯერისა და დაცვის ფუნქციას ამ პერიოდში შეითავსებდა მნე. **ვიზიტის პერიოდში, სკოლის შენობის დათვალიერებით, გამოიკვეთა შემდეგი სურათი:** • სკოლის მოსწავლეებისათვის თავისუფლად არის შესაძლებელი შენობის მესამე სართულზე მოხვედრა და გადაადგილება. მესამე სართული არ არის კეთილმოწყობილი, დასაწყობებულია სასკოლო ინვენტარი, აგრეთვე, ვიზიტის პერიოდში, მესამე სართულზე, ღია იყო ერთ-ერთი ოთახის კარი, რომლსაც ნაწილობრივ არ აქვს კედელი. ***დანართი N4. ფოტოსურათი*** • სკოლის ეზოში, შენობის შესასვლელის გვერდით, დასაწყობებული იყო რკინის კონსტრუქციები, ხის პალეტები და სხვ. ***დანართი N5. ფოტოსურათი*** • სკოლის ეზო არ არის შემოსაზღვრული ღობით. ეზოს შემოსაზღვრის მიზნით ნაკვეთის პერიმეტრზე დაწყობილია საბურავები. ეზო საბურავების ღობით შემოსაზღვრულია მხოლოდ ნაწილობრივ. ***დანართი N6. ფოტოსურათი, დანართი N7. ფოტოსურათი*** აღწერილი გარემოებიდან გამომდინარე მივიჩნევთ, რომ სკოლაში არ არის უზრუნველყოფილი მოსწავლეთა უსაფრთოხება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	იქიდან გამომდინარე, რომ სკოლაში არ მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი „საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების წესი“, შენობის მესამე სართულზე თავისუფლად არის შესაძლებელი მოსწავლეთა მოხვედრა, ეზო არ არის შემოსაზღვრული ღობით, მივიჩნევთ, რომ **დარღვეულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ მინისტრის ბრძანება N99/ნ-ის მე-7 მუხლის „ვ.დ“ პუნქტი: სტანდარტი დაკმაყოფილებულია, თუ სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.** **რეკომენდებულია, რომ სკოლამ უზრუნველყოს წესრიგის დაცვის მექანიზმების შესაბამისობა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვარის №06/ნ ბრძანებასთან და სკოლაში არსებული ფიზიკური გარემოს უსაფრთხოების უზრუნველყოფა.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ადგილზე დათვალიერებით, • *დანართები N4, N5, N6. N7 ფოტოსურათები* • დირექტორთან გასაუბრებით, • მნესთან გასაუბრებით, • უსაფრთხოების წესი.
შეფასება:	☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ ქვესტანდარტი დარღვეულია
ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის მიერ უსაფრთხოების კამერების ფლობა დასტურდება ჩუქების აქტით და შესყიდვის დოკუმენტით; ჩუქების აქტი გაფორმებულია 2021 წლის 22 ივნისს. დოკუმენტით სკოლას საჩუქრად გადაეცა 5 (ხუთი) ვიდეოთვალი. შესყიდვის დოკუმენტით დასტურდება ჭკვიანი კამერის ფლობა. 1 კამერის საკუთრებაში ფლობის დოკუმენტაცია არ არის წარმოდგენილი. სკოლის შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია უსაფრთხოების 7 კამერა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლის გარე პერიმეტრზე, შესასვლელში, დამონტაჟებულია გარე ხედვის ორი კამერა და 1 „ჭკვიანი კამერა“. ვიზიტის პერიოდში შეუძლებელი იყო გარე პერიმეტრის უსაფრთხოების 2 კამერის კონტროლის არეალის გადამოწმება, რადგან ისინი არ ფუნქციონირებდა; გამორთული იყო პოლიციის მიერ, რამდენიმე დღის წინ სკოლის სხვენში მომხდარი ქურდობის გამოძიების მიზნით ჩასატარებელი სამუშაოებისათვის. გასაუბრებისას აღინიშნა, სხვენი გამოიყენებოდა მესაკუთრის მიერ არასაგანმანათლებლო საქმიანობისათვის, რისთვისაც მესამე სართულზე და სხვენში მოსახვედრად გამოიყენებოდა შენობის მესაკუთრეთა საზიარო სარგებლობაში არსებული კიბის უჯრედი. შენობის კედელზე, სკოლის ეზოში მდებარე ნაწილში, დამონტაჟებული იყო უსაფრთხოების 2 კამერა. შენობის მეორე თანამესაკუთრის მფლობელობაში არსებული ფართის ერთ-ერთი შესასვლელი სკოლის ეზოში მდებარეობს. დირექტორის განმარტებით, თანამესაკუთრეები სარგებლობენ ეზოს გარეთ მდებარე შესასვლელით, თუმცა თანამესაკუთრის უსაფრთხოების 2 კამერა დამონტაჟებულია შენობაზე იმგვარად, რომ აკონტროლებს სკოლის ეზოს. დირექტორის განმარტებით, აღნიშნული კამერები არ ფუნქციონირებდა. ***დანართი N8. ფოტოსურათი*** ვიზიტის პერიოდში გარე პერიმეტრს სრულად აკონტროლებდა 1 „ჭკვიანი კამერა“. სკოლის შიდა პერიმეტრის ვიდეომეთვალყურეობის უზრუნველსაყოფად დამონტაჟებული იყო უსაფრთხოების 4 კამერა. პირველ სართულზე, სკოლის შესასვლელში, დამონტაჟებული იყო უსაფრთხოების 1 კამერა. სკოლის მეორე სართულზე დამონტაჟებული იყო უსაფრთხოების 3 კამერა; მათგან ერთი - მეორე სართულის ფოიეში, ხოლო 2 - დერეფნებში. სართულზე ორი დერეფანია, მათ შორის არის სართულის ფოიე. დერეფნებში დამონტაჟებულია 1-1 კამერა. მეორე სართულის დათვალიერების დროს <u>დერეფნის (მარჯვენა) ბოლოს არსებული ტერიტორია არ კონტროლდებოდა ვიდეოკამერით. ამ ტერიტორიაზე მდებარეობს ბიჭების საპირფარეშო; აგრეთვე, ორივე დერეფანში არის შეჭრილი სივრცეები, რომლებიც არ კონტროლდებოდა უსაფრთხოების კამერებით. კიბის უჯრედში არ იყო დამონტაჟებული უსაფრთხოების კამერა.</u> **<u>რეკომენდებულია, რომ უსაფრთხოების კამერები დამონტაჟდეს კიბის უჯრედსა და დერეფნების იმ მონაკვეთებში, რომლებიც არ კონტროლდება ვიდეოკამერებით.</u>**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მონიტორი, რომელზეც აისახება ვიდეოსათვალთვალო სისტემის მუშაობა, განთავსებულია დირექტორის კაბინეტში. დირექტორის განმარტებით, სკოლას ჰყავს ვიდეოსათვალთვალო სისტემის ყოველდღიურ გამოყენებასა და ადმინისტრირების უზრუნველყოფაზე უფლებამოსილი პირი. <u>აღნიშნული პოზიცია არ არის ასახული საშტატო განრიგში, არ არის წარმოდგენილი უფლებამოსილ პირთან დადებული შრომითი ხელშეკრულება.</u> **ამგვარად დარღვეულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვარის ბრძანება №06/ნ, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ (მუხლი 41).** **რეკომენდებულია, რომ ბრძანებით განისაზღვროს ვიდეოსათვალთვალო სისტემის ყოველდღიური გამოყენებისა და ადმინისტრირების უზრუნველყოფაზე უფლებამოსილი პირი.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ადგილზე დათვალიერებით, • ჩუქების აქტით, 22.06.2021. • ჭკვიანი კამერის შესყიდვის დოკუმენტით, • საშტატო განრიგით, • ხელშეკრულებებით, • *დანართი N8. ფოტოსურათი* • დირექტორთან გასაუბრებით.
შეფასება:	☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შემუშავებულია წესდება, შინაგანაწესი და საქმიანობის დაგეგმვისა და საქმიანობის წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები. შპს „სკოლა ჩირაღდნის“ წესდება დამტკიცებულია 2003 წლის 22 აპრილს. წესდების თანახმად, საზოგადოების საქმიანობის სფეროდ განსაზღვრულია დაწყებითი და საშუალო სკოლების, კოლეჯებისა და უმაღლესი სკოლების გახსნა ფუნქციონირება; კომერციული საქმიანობა; აგრეთვე, ყველა ის საქმიანობა, რომელიც მოქმედი კანონმდებლობით არაა აკრძალული, ხოლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	საქმიანობის ის სფეროები, რომლებიც საჭიროებენ სპეციალურ ნებართვას (ლიცენზიას) განხორციელდეს მხოლოდ ამ ნებართვის აღების შემდგომ. შინაგანაწესი დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ 2021 წლის 8 სექტემბერს. შინაგანაწესით განსაზღვრულია სკოლაში დასაქმებულ პირთათვის მოქმედი ეთიკური ნორმები, მოსწავლის, მშობლისა და მასწავლებლის ძირითადი უფლებები და ვალდებულებები, სკოლის საქმიანობის ორგანიზება, სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმები და ფარგლები, შრომითი ურთიერთობის წარმოშობა, შრომითი ურთიერთობის პირობები, შრომის ანაზღაურების გაცემის დრო, ადგილი, წესი და პირობები, სამსახურებრივი მივლინება, შვებულების ხანგძლივობა და მიცემის წესი, წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა, მოსწავლის დისციპლინური წარმოების თავისებურებანი, განაცხადის/საჩივრის განხილვა, მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვისა და გადაყვანის პირობები, სკოლის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, შრომის პირობების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციები, სკოლის სტრუქტურა, შინაგანაწესის თანმხლები დოკუმენტები. შინაგანაწესი წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. შპს „სკოლა ჩირაღდნის“ შინაგანაწესის ერთ-ერთი მიზნად დასახელებულია სასწავლო-სამუშაო დროის რეგულირება და რაციონალურად გამოყენება. დოკუმენტის მე-15 მუხლით განსაზღვრულია ხუთდღიანი სამუშაო და სასწავლო დრო. <u>შინაგანაწესი განსაზღვრავს მხოლოდ მასწავლებელთა სამუშაო საათებს. შინაგანაწესში არ არის განსაზღვრული სხვა დასაქმებულთა (ადმინისტრაციული პერსონალისა და დამხმარე პერსონალის) სამუშაო საათები. აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში, ასევე, არ არის მითითებული მათი სამუშაო დროის, ასევე, სამუშაოს დღეს სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო. ამით დარღვეულია საქართველოს შრომის კოდექსის მუხლი 14, რომელის თანახმად შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობაა სამუშაო დროისა და დასვენების დროის განსაზღვრა.</u> <u>აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებული შინაგანაწესი ვერ უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაო დროის რეგულირებასა და რაციონალურ გამოყენებას.</u> **რეკომენდებულია, რომ შინაგანაწესსა და შრომით ხელშეკრულებებში განსაზღვროს დასაქმებულთა (ადმინისტრაციული პერსონალისა და დამხმარე პერსონალის) სამუშაო დღეს სამუშაოს დაწყების დრო და დამთავრების დრო.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ვიზიტის პერიოდში მოთხოვნილ იქნა სკოლის საქმისწარმოების წესი. სკოლის მიერ წარმოდგენილი საქმისწარმოების წესი ძალადაკარგულია. დამტკიცებულია 04/09/2020 წელს და ძალაშია 2020 წლის 01 ოქტომბრამდე. **რეკომენდებულია, რომ სკოლამ განაახლოს საქმისწარმოების წესი.** სკოლის შინაგანაწესი, გრძელვადიანი და ერთწლიანი განვითარების გეგმები დამტკიცებულია დირექტორის მიერ. აღნიშნული წინააღმდეგობაში მოდის სკოლის შინაგანაწესის 63-ე მუხლთან, რომლის თანახმად პედაგოგიური საბჭო არის უფლებამოსილი ორგანო დაამტკიცოს შინაგანაწესი, გრძელვადიანი და ერთწლიანი განვითარების გეგმები. **რეკომენდებულია, რომ სკოლის შინაგანაწესი, გრძელვადიანი და ერთწლიანი განვითარების გეგმები დამტკიცდეს უფლებამოსილი ორგანოს მიერ ან შევიდეს ცვლილება შინაგანაწესში საამისოდ უფლებამოსილი ორგანოს განსაზღვრასთან დაკავშირებით.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• წესდება, 22/04/2003 • შინაგანაწესი, 24/02/2022 • საქმისწარმოების წესი, 04/09/2020
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შემუშავებულია განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები. დაწესებულების თვითშეფასება ჩატარებულია SWOT ანალიზის მეთოდით. შპს „სკოლა ჩირაღდნის“ წარმოდგენილი SWOT ანალიზი ასახავს სკოლის ძლიერ მხარეებს. სკოლა თავის ძლიერ მხარედ ასახელებს კეთილგანწყობილ და თანამშრომლობით გარემოს, მასწავლებელთა მიერ სამუშაოს დროულ და ხარისხიან შესრულებას, კურსდამთავრებულთა წარმატებას, მოსწავლეთა თვითმმართველობის მუშაობას. სუსტ მხარეებად იდენტიფიცირებულია სკოლის შენობის სარემონტო სამუშაოების დაუსრულებლობა და მასწავლებელთა ანაზღაურების გარეშე შვებულება. გარე ფაქტორებიდან მომდინარე საფრთხედ დასახელებულია „სკოლის მიერ გადამზადებულ პედაგოგთა გადინება საჯარო სკოლებში, პედაგოგთა დეფიციტი გამწვავება,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	კონკურენციის გამწვავება, სამთავრობო რეგულაციების გამწვავება.“ ანალიზის ფორმაში არ არის განსაზღვრული შესაძლებლობები. ნაცვლად ამისა, აღნიშნულია, რომ „შესაძლებელი იყო უარყოფითი მხარეების ნაწილობრივ მოწესრიგება, მაგრამ აღმოვჩდებოდით ფინანსურ გაჭირვებაში.“. **რეკომენდებულია, რომ დაწესებულებამ გაანალიზოს სუსტი მხარეები და შესაძლებლობები და ამის საფუძველზე დააზუსტოს განვითარების გრძელვადიანი გეგმის მიზნები და პრიორიტეტული მიმართულებები.** სკოლის მიერ წარმოდგენილია 2021-2027 წლის სტრატეგიული გეგმა, რომელიც აღწერს სკოლისათვის სასურველ მდგომარეობას/მიზნებს. თითოეული სასწავლო წლისთვის ჩამოთვლილია მხოლოდ მისაღწევი მიზნები. დოკუმენტის ბოლოს კი განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები და მონიტორინგის ჯგუფის შემადგენლობა. სტრატეგიულ გეგმაში არ არის ასახული გეგმის ეფექტიანობისათვის აუცილებელი კომპონენტები - გეგმის საერთო გრძელვადიანი მიზნები და პრიორიტეტული მიმართულებები, არ არის განსაზღვრული მიზნის შესაბამისი ინდიკატორები, ამოცანები, ამოცანების განხორციელების ვადები, თითოეული ამოცანის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები. სკოლის განვითარების მიზნებად დასახულია სასწავლო კორპუსის მე-2 სართულზე კოსმეტიკური სარემონტო სამუშაოების ჩატარება, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში გამწოვი კარადის დამონტაჟება, ღია სპორტული მოედნის უკეთ მოწყობა, საცურაო აუზისა და სპორტული დარბაზის მშენებლობა, სასტუმროს მოწყობა რეგიონიდან ჩამოსული მოსწავლეებისათვის და სხვ. სკოლა არ მიუთითებს ჩამოთვლილი მიზნების მიღწევისათვის განსახორციელებელ ამოცანებს, ვადებსა და პასუხისმგებელ პირებს, არ განსაზღვრავს მიზნის მიღწევის ინდიკატორებს, რაც ვერ შეუწყობს ხელს გეგმის ეფექტურად განხორციელებასა და მის მონიტორინგს. **რეკომენდებულია, რომ განვითარების ექვსწლიან გეგმაში დაზუსტდეს გრძელვადიანი მიზნები და პრიორიტეტული მიმართულებები, თითოეულ სტრატეგიულ მიზანთან მიმართებით განისაზღვროს ამოცანები, მათი განხორციელების ვადები, მიზნის მიღწევის მკაფიო ინდიკატორები, ანგარიშგების პერიოდი და პასუხისმგებელი პირები.** 2021-2022 სასწავლო წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ასახულია სასწავლო წლის განმავლობაში შესასრულებელი საკითხები, განხორციელების პერიოდები და პასუხისმგებელი პირები. ერთწლიან გეგმაში არ არის მითითებული მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირები, რაც ვერ შეუწყობს ხელს სამოქმედო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	<u>გეგმის ეფექტიან განხორციელებას.</u> **რეკომენდებულია, სამოქმედო გეგმაში განისაზღვროს ანგარიშგების ფორმა და მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირები.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• განვითარების ექვსწლიანი გეგმით, 2021-2027 • ერთწლიანი სამოქმედო გეგმით, 2021-2022 • SWOT ანალიზით.
შეფასება:	☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა. სკოლამ წარმოადგინა ბრძანებების წიგნი, შემოსული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალი, გასული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალი და ხელშეკრულებების რეგისტრაციის წიგნი. დოკუმენტაციის ამსახველი საქაღალდეები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ბრძანებების წიგნი, • შემოსული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალი, • გასული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალი, • ხელშეკრულებების რეგისტაციის წიგნი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	• რეკომენდებულია, სკოლამ აღრიცხოს და დაადასტუროს საკუთრებაში არსებული ვარგისი მერხებისა და სკამების რაოდენობა. • რეკომენდებულია, რომ საკლასო ოთახებში დამონტაჟდეს ნათურები. უზრუნველყოფილი იყოს კომპიუტერულ ლაბორატორიის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიისა და ექთნის ოთახის გათბობა. • რეკომენდებულია, რომ ლაბორატორიის აღჭურვილობა განთავსდეს დახურულ კარადებში. ლაბორატორიაში დამონტაჟდეს ონკანი. განთავსდეს ლაბორატორიით სარგებლობისა და უსაფრთხოების წესები. ლაბორატორია აღიჭურვოს მერხებითა და სკამებით. • რეკომენდებულია, რომ დადასტურდეს დოკუმენტურად კომპიუტერების საკუთრებაში არსებობა. რეკომენდებულია, რომ ვებ-გვერდი სრულყოფილად ასრულებდეს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	რისთვისაც პერიოდულად განთავსდეს სიახლეები. სკოლაში მიმდინარე აქტივობების შესახებ ინფორმაცია. • რეკომენდებულია, რომ სკოლამ უზრუნველყოს წესრიგის დაცვის მექანიზმების შესაბამისობა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვარის №06/ნ ბრძანებასთან და სკოლაში არსებული ფიზიკური გარემოს უსაფრთხოება. • რეკომენდებულია, რომ სკოლამ შეიმუშაოს „სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმი“, რომელშიც ასახული იქნება პირველადი დახმარების პროტოკოლი, პაციენტის უფლებები, ექიმის ვალდებულებები, სამედიცინო კაბინეტის ფუნქციონირებისთვის აუცილებელი რეგულაციები. • რეკომენდებულია, რომ მოეწყოს სამედიცინო კაბინეტი 2022 წლის 21 მარტის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანების №41/ნ/01-23/ნ შესაბამისად. • რეკომენდებულია, რომ უსაფრთხოების კამერები დამონტაჟდეს კიბის უჯრედსა და დერეფნების იმ მონაკვეთებში, რომლებიც არ კონტროლდება ვიდეოკამერებით. • რეკომენდებულია, რომ ბრძანებით განისაზღვროს ვიდეოსათვალთვალო სისტემის ყოველდღიური გამოყენებისა და ადმინისტრირების უზრუნველყოფაზე უფლებამოსილი პირი. • რეკომენდებულია, რომ დაწესებულებამ გაანალიზოს სუსტი მხარეები და შესაძლებლობები და ამის საფუძველზე დააზუსტოს განვითარების გრძელვადიანი გეგმის მიზნები და პრიორიტეტული მიმართულებები. • რეკომენდებულია, განვითარების ექვსწლიან გეგმაში დაზუსტდეს გრძელვადიანი მიზნები და პრიორიტეტული მიმართულებები, თითოეულ სტრატეგიულ მიზანთან მიმართებით განისაზღვროს ამოცანები, მათი განხორციელების ვადები, მიზნის მიღწევის მკაფიო ინდიკატორები, ანგარიშგების პერიოდი და პასუხისმგებელი პირები. • რეკომენდებულია, სამოქმედო გეგმაში განისაზღვროს ანგარიშგების ფორმა და მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირები.
რჩევები:	-
ხარვეზები:	• წარმოდგენილი საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (აუდიტის დასკვნები), დასაწყობებული მერხები და სკამები ვერ ჩაითვლება სკოლაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ამჟამად არსებული სასკოლო ინვენტარის ფლობის მტკიცებულებად, რადგან დოკუმენტაცია აღწერს 2012 წლის მდგომარეობას, ხოლო ინვენტარი საჭიროებს ვარგისიანობის შეფასებას. • სკოლაში არსებული ყველა (13) კომპიუტერის საკუთრებაში ფლობის დამადასტურებელი შესყიდვის დოკუმენტაცია სკოლამ ვერ წარმოადგინა. ჩუქების აქტით დასტურდება, მხოლოდ 5 კომპიუტერის ფლობა. • საკლასო ოთახებში ნათურების არ არსებობა, კომპიუტერულ ლაბორატორიაში, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიასა და ექთნის ოთახში გათბობის არარსებობა ვერ უწყობს ხელს სრულად იყოს უზრუნველყოფილი საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი გარემო. • დოკუმენტი „სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმი“ არ ასახავს პირველადი სამედიცინო დახმარების პროტოკოლს, ექთნის ვალდებულებებს, პაციენტის უფლებებსა და სხვ. • მედიკამენტები განთავსებულია კარადაში, რომელიც არ იკეტება. • მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობიდან გამომდინარე სკოლას უნდა ჰყავდეს ექიმი. • სამედიცინო კაბინეტი საჭიროებს მოწყობას 2022 წლის 21 მარტის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანების №41/ნ/01-23/ნ შესაბამისად. • სკოლაში განთავსებული ყველა ცეცხლმაქრის (სულ 5) საკუთრებაში ფლობის დამადასტურებელი შესყიდვის დოკუმენტაცია სკოლამ ვერ წარმოადგინა. ჩუქების აქტით დასტურდება, მხოლოდ 2 ცეცხლმაქრის ფლობა. • დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა ცეცხლმაქრების გადამუხტვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. • დარღვეულია „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების“ მე-2 მუხლი, რომლის თანახმად, კერძო სკოლა ვალდებულია იხელმძღვანელოს წესით და დაიცვას იგი ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებით შეიმუშაოს შესაბამისი წესი, რომელიც უზრუნველყოფს ამ წესით განსაზღვრული პრინციპების სრულად დაცვასა და ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• შიდა პერიმეტრი სრულად არ კონტროლდება ვიდეომეთვალყურეობის სისტემით, არ არის ბრძანებით დამტკიცებული ვიდეოსათვალთვალო სისტემის ყოველდღიური გამოყენებისა და ადმინისტრირების უზრუნველყოფაზე უფლებამოსილი პირი. • განვითარების სტრატეგიულ გეგმაში სკოლა არ განსაზღვრავს ჩამოთვლილი მიზნების მიღწევისათვის განსახორციელებელ ამოცანებს, ვადებსა და პასუხისმგებელ პირებს, მიზნის მიღწევის ინდიკატორებს, რაც ვერ შეუწყობს ხელს გეგმის ეფექტურად განხორციელებასა და მის მონიტორინგს. • ერთწლიან გეგმაში არ არის მითითებული მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირები, რაც ვერ შეუწყობს ხელს სამოქმედო გეგმის ეფექტიან განხორციელებას.
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ სტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლამ წარმოადგინა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზიდან (EMIS) ამონაწერი სკოლაში დასაქმებულ პირთა შესახებ. ამონაწერის თანახმად, სკოლაში დასაქმებულია 28 თანამშრომელი. სკოლას ჰყავს დირექტორი, საინფორმაციო მენეჯერი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, ბიბლიოთეკარი, ექთანი, დამლაგებელი და მასწავლებლები. სკოლამ წარმოადგინა საშტატო განრიგი, რომლის მიხედვით სკოლას ჰყავს აგრეთვე, ბუღალტერი, დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, დირექტორის მოადგილე ხარისხის უზრუნველყოფის დარგში, დაცვა (ვაკანტური) და უსაფრთხოების მენეჯერი (ვაკანტური). **წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• დირექტორისა და დირექტორის მოადგილის პოზიციებზე დასაქმებული პირები, ამავე დროს, არიან სკოლის მასწავლებლები. მათ ადმინისტრაციულ მოვალეობებთან ერთად აქვთ სრული საათობრივი დატვირთვა: დირექტორს - 20 სთ., დირექტორის მოადგილეს ხარისხის უზრუნველყოფის დარგში - 20 სთ., დირექტორის მოადგილეს სასწავლო დარგში - 18 სთ. დირექტორის ერთ-ერთი მოადგილე ამავდროულად არის VI კლასის დამრიგებელი. დირექციის საათობრივი დატვირთვა გაიზარდა ვიზიტის პერიოდში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, რაც გულისხმობდა მოწვეული მასწავლებლების გადაჭარბებული საათობრივი დატვირთვის გადანაწილებას სკოლის სხვა მასწავლებლებისათვის. • ბუღალტრისა და ბიბლიოთეკარის პოზიციებზე დასაქმებულია ერთი პირი. მასთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება ორივე სამუშაო პოზიციის მითითებით. მისი პირადი საქმის შესწავლითა და გასაუბრებით დგინდება, რომ ბიბლიოთეკარისა და ბუღალტრის ადგილზე დასაქმებული პირის კვალიფიკაცია არ შეესაბამება მის მიერ დაკავებულ პოზიციებს. დირექტორის განმარტებით, საბუღალტრო საქმიანობაში სკოლას ეხმარება გარეშე პირი, რომელთანაც არ არის დადებული შრომითი ხელშეკრულება. განათლების მართვის საინფორმაციო ბაზაში ფიქსირდება მხოლოდ ბიბლიოთეკარის თანამდებობა. • ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰყავდა უსაფრთხოების მენეჯერი და დაცვა. დირექტორის ბრძანებით გამოცხადებული იყო ღია კონკურსი აღნიშნულ ვაკანტურ პოზიციებზე. უსაფრთოხების მენეჯერისა და დაცვის მოვალეობებს ასრულებდა მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი. • ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰყავდა მუსიკის მასწავლებელი. დირექტორის ბრძანებით, გამოცხადებული იყო ღია კონკურსი. ბრძანებით განსაზღვრული იყო, რომ ვაკანსიის შევსებამდე მუსიკის გაკვეთილების ნაცვლად ჩატარდება ხელოვნების გაკვეთილი, ხოლო ვაკანსიის შევსების შემდეგ მუსიკის გაკვეთილი შეივსება ხელოვნების გაკვეთილის ნაცვლად. • სკოლაში დასაქმებულ პირთან გაფორმებულია ხელშეკრულება ექთნის პოზიციაზე, ხოლო განათლების მართვის საინფორმაციო ბაზაში ის დაფიქსირებულია როგორც ექიმი. მისი კვალიფიკაციაა სამედიცინო კოლეჯის კურსი „სამკურნალო საქმე“. საქართველოს განათლებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ განსაზღვრავს სკოლებში მოსწავლეთა და სამედიცინო პერსონალის რაოდენობათა თანაფარდობას. ბრძანების თანახმად, 100-დან 500-ის ჩათვლით მოსწავლეთა რაოდენობის შემთხვევაში სკოლას უნდა ჰყავდეს ექიმი, რომელსაც ექნება ამ ბრძანებით განსაზღვრული კვალიფიკაცია. **რეკომენდებულია, რომ სკოლამ გამოაცხადოს ვაკანსია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სკოლის ექიმის პოზიციაზე №41/ნ/01-23/ნ ბრძანების შესაბამისად.** დირექტორთან გასაუბრებით, სკოლის თვითშეფასების ანგარიშისა და SWOT ანალიზის შესწავლით გამოიკვეთა, რომ სკოლაში პრობლემურია საკადრო საკითხი - **პედაგოგთა გადინება სკოლიდან**. განმაპირობებელ ფაქტორად დირექტორი ასახელებს სკოლა „ჩირაღდანში“ პედაგოგთა შრომის დაბალ ანაზღაურებას. ეს ტენდენცია ასევე დასტურდება სკოლის მიერ განთავსებული ვაკანსიებით ვებ-გვერდიზე teachersjobs.ge. შპს „სკოლა ჩირაღდანის“ მიერ გამოცხადებულია კონკურსი: 2019 წლის 3 სექტემბრიდან 2022 წლის 20 აპრილის ჩათვლით პერიოდში განთავსებულია 60 ვაკანსია მასწავლებლის პოზიციებზე. **რეკომენდებულია, რომ სკოლამ უზრუნველყოს კვალიფიციური ადამიანური რესურსის მოზიდვა და მათთვის სათანადო სამუშაო პირობების შექმნა, რათა მასწავლებელთა ხშირი ცვლით სკოლაში სასწავლო პროცესის სტაბილური მიმდინარეობა არ შეფერხდეს და უარყოფითად არ აისახოს მოსწავლეთა შედეგებზე.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან ამონაწერი, • საშტატო განრიგი, • შრომითი ხელშეკრულებები, • პირადი საქმე, • http://teacherjobs.ge/?position=&subject=&class=&school=216342330&district=. • ბრძანება მუსიკის პედაგოგის შესარჩევი კონკურისის შესახებ, • მასწავლებელთა საგაკვეთილო ცხრილი, • თვითშეფასების კითხვარი, • SWOT ანალიზი, • გასაუბრება.
შეფასება:	☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	23 (მათგან 1 - უსტატუსო)
მოწვეული/მაძიებელი	10/2
პრაქტიკოსი მასწავლებლი	0
უფროსი მასწავლებლი	10
წამყვანი მასწავლებლი	0
მენტორის სტატუსი	0

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლამ წარმოადგინა დასაქმებულ პირთა შესახებ ინფორმაცია. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან ამონაწერის თანახმად (2022 წლის 06 აპრილი), სკოლას ჰყავს 23 მასწავლებელი. სკოლის თვითშეფასების კითხვარზე (2022 წლის 07 თებერვალი) თანდართული დოკუმენტაციის მიხედვით, სკოლას ჰყავდა 19 მასწავლებელი. მათგან 10 მასწავლებელი - უფროსი, 2 - მაძიებელი, 3 - უსტატუსო და 4 - მოწვეული მასწავლებელი იყო. მოწვეული მასწავლებლების საათობრივი დატვირთვა აჭარბებდა 9 საათს; **სკოლის მიერ არ იყო გათვალისწინებული ზოგადი განათლების შესახებ კანონით განსაზღვრული რეგულაცია, რადგან მოწვეულ მასწავლებელთა სამუშაო დატვირთვა აღემატებოდა მასწავლებლის სრული დატვირთვისათვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საგაკვეთილო საათების 50%-ს.** საავტორიზაციო ვიზიტის დაწყებისთანავე სკოლამ გვაცნობა, რომ ცვლილებები შევიდა მასწავლებელთა სამუშაო დატვირთვაში და წარმოადგინა განახლებული საშტატო განრიგი, რომელის თანახმად, მოწვეულ მასწავლებელთა დატვირთვა შემცირებული იყო 9 საათამდე. <u>ცვლილებების შესწავლით 2 მოწვეულ მასწავლებელს კვლავ ჰქონდა 9 საათზე მეტი საათობრივი დატვირთვა.</u> დოკუმენტაციის შესწავლით ექსპერტებისათვის ცნობილი გახდა, რომ სკოლას საავტორიზაციო ვიზიტის განხორციელებამდე პერიოდში, დამატებით გაფორმებული ჰქონდა კიდევ ოთხ მოწვეულ მასწავლებელთან ხელშეკრულება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლის 3 პედაგოგს არ ჰქონდა სტატუსი: ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგი 16 სთ. დატვირვით, (რომელიც ატარებდა მხოლოდ ჭადრაკის გაკვეთილებს IV, V, VI, VII, VIII, X, XII კლასებში), მათემატიკის მასწავლებელი - 25 სთ. დატვირთვით, ბიოლოგიისა და საგან „მე და საზოგადოების“ მასწავლებელი 11 საათიანი დატვირთვით. ვიზიტის პერიოდში, სკოლამ მიიღო გადაწყვეტილება კვლავ შეეცვალა საათობრივი განაწილება. ვიზიტის მეორე დღეს წარმოადგინა პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი, რომლის თანახმად ორ უსტატუსო მასწავლებელს (მათემატიკის მასწავლებელს და ბიოლოგიის მასწავლებელს) განესაზღვრათ მოწვეული მასწავლებლის სტატუსი და მათი დატვირთვა შემცირდა 9 საათამდე, ხოლო გათავისუფლებული საათები გადანაწილდა სხვა პედაგოგებზე. ***დანართი N9.*** ***<u>განხორციელებული ცვლილებების შ ე დ ე გ ა დ ვიზიტის განხორციელების</u> მეორე დღეს სკოლაში დასაქმებული პედაგოგებიდან უსტატუსო პედაგოგი იყო - 1, მოწვეული - 10, უფროსი -10, მაძიებელი -2.*** <u>ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელთან დაკავშირებით ცვლილება არ განხორციელებულა. სპორტის მასაწავლებლის პოზიციაზე დასაქმებულ პირთან ხელშეკრულება გაფორმებულია 2017 წლის 15 სექტემბრიდან. პედაგოგთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ის ასწავლიდა</u> მხოლოდ ჭადრაკს, ხოლო ***<u>ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილები კლასებში, რომლებსაც ის ასწავლის, არ ტარდება.</u>*** დაწესებულების მხრიდან აღნიშნული აიხსნა პანდემიით განპირობებული შეზღუდვებით. ვიზიტის მიმდინარეობის დროს სკოლას რამდენჯერმე ვთხოვეთ წარმოედგინა პირისპირ სწავლების გაკვეთილების ცხრილი, რომლითაც ხელმძღვანელობდა სასწავლო პროცესის ორგანიზებისას. **მოთხოვნილი სახით გაკვეთილების ცხრილი სკოლამ ვერ წარმოადგინა.** მის ნაცვლად წარმოდგენილია მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის ამსახველი ცხრილი/ბადე, რომელიც ასახავს მასწავლებელთა დატვირთვას კლასებისა და კვირის დღეების მიხედვით. აღნიშნული ბადე ითვალისწინებდა ვიზიტამდე შეტანილ ცვლილებებს მასწავლებელთა დატვირთვაში. დირექტორის ბრძანებით 11 აპრილისათვის გაკვეთილების ცხრილის შედგენა დაევალა სასწავლო ნაწილს. ***დანართი N9*** <u>სკოლის მიერ არ არის გათვალისწინებული ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 33[1] მუხლი, რომელიც განსაზღვრავს პერსონალისთვის დადგენილ შეზღუდვას.</u> ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის არ არის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლის შინაგანაწესში სამუშაოზე მისაღებად წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხაში. თანამშრომელთა პირად საქმეებში არასრულადაა წარმოდგენილი სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრული დოკუმენტაცია: ავტობიოგრაფია, ფოტოსურათი, ნასამართლეობის ცნობა, პირადობის მოწმობის ასლი, განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი. პირად საქმეებში არ არის წარმოდგენილი ნასამართლეობის ცნობა. **რეკომენდებულია სკოლამ მასწავლებელთა შერჩევის დროს დაიცვას ზოგადი განათლების შესახებ კანონითა და საქართველოს მთავრობის №241-ე დადგენილებით გაწერილი რეგულაციები.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• თვითშეფასების კითხვარი, • მასწავლებლების სამუშაო დატვირთვის ცხრილი, • საშტატო განრიგი, • ***დანართი №9,*** • განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ამონაწერი, • შრომითი ხელშეკრულებები, • პირადი საქმეები, • დირექტორთან გასაუბრება.
შეფასება:	☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს „სკოლა ჩირაღდანის“ შინაგანაწესით განსაზღვრულია წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა, თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები. სკოლაში მასწავლებელთა მიღება ხდება კონკურსის გზით. გამონაკლისს წარმოადგენს მოწვეული და შემცვლელი მასწავლებლების მიღება. კონკურსის წესებსა და პირობებს არეგულირებს შინაგანაწესის მე-6 თავი - „შრომითი ურთიერთობის წარმოშობა“. კონკურსის შესახებ განაცხადი ქვეყნდება საჯაროდ ვებ-გვერდზე pedagogi.ge. შინაგანაწესით განსაზღვრულია კონკურსის ეტაპები. ვიზიტის პერიოდში სკოლას ვთხოვეთ წარმოედგინა შიდა კონკურსის ამსახველი დოკუმენტაცია (ბრძანება, ოქმი), რომლის საფუძველზეც სკოლამ თანამშრომელთა შორის გაანაწილა მოწვეული მასწავლებლის სტატუსის მქონე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	თანამშრომლების გადაჭარბებული საათობრივი დატვირთვა. ასეთი ცვლილება სკოლაში ორჯერ განხორციელდა: ექსპერტთა ვიზიტამდე და ვიზიტის პერიოდში. სკოლამ ბრძანებები შიდა კონკურსის გამოცხადების შესახებ ვერ წარმოადგინა. წარმოდგენილია მხოლოდ ვიზიტის პერიოდში (7 აპრილს) ჩატარებული პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი საათების გადანაწილების შესახებ. ***დანართი N9.*** ვიზიტის პერიოდში ბრძანებით (N433-პ) გამოცხადებული იყო მუსიკის მასწავლებლის ვაკანტურ პოზიციაზე ღია კონკურსი. ბრძანებით არ იყო განსაზღვრული გამოცხადებული კონკურსის ვადები, კონკურსის პირობები და საკონკურსო კომისიის შემადგენლობა. **რეკომენდებულია, რომ სკოლამ მასწავლებელთა შერჩევის პროცესი წარმართოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება N174/ნ-ით განსაზღვრული რეგულაციების დაცვით.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს „სკოლა ჩირაღდნის" შინაგანაწესი, • ***დანართი N9,*** • დირექტორის ბრძანება (N433-პ) მუსიკის მასწავლებლის პოზიციაზე ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ • დირექტორთან გასაუბრებით.
შეფასება:	☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლამ წარმოადგინა შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებული მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან და შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი. შრომითი ხელშეკრულებების გარკვეული ნაწილი დანომრილი არ არის. **მასწავლებლებთან დადებულ ხელშეკრულებებში არ არის გათვალისწინებული საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N174/ნ ბრძანებით განსაზღვრული რეგულაციები:** • ხელშეკრულებები არ არის გაფორმებული სტატუსების მიხედვით. • დასაქმებულის მიერ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით არ არის დადასტურებული, რომ სკოლის დირექტორმა მასწავლებელს შრომითი ხელშეკრულების დადებამდე გააცნო სკოლის შინაგანაწესი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• ხელშეკრულებით არ არის განსაზღვრული, რომ სკოლის შინაგანაწესი ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია. მხოლოდ რამდენიმე შრომით ხელშეკრულებაში *შებრუნებული ფორმულირებით* აღნიშნულია: „ხელშეკრულება სკოლის შინაგანაწესის განუყოფელი ნაწილია“. დასაქმებულთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებითა და სკოლის შინაგანაწესით შრომის ანაზღაურების პირობები განსხვავებულად რეგულირდება. ხელშეკრულების მიხედვით, შრომის ანაზღაურება გაიცემა თვეში ერთხელ ყოველი კალენდარული თვის ბოლოს, ხოლო შინაგანაწესის მიხედვით - ყოველი კალენდარული თვის 1 რიცხვიდან 10 რიცხვამდე ვადაში. შრომითი ხელშეკრულებებში არ არის განსაზღვრული შვებულების მიცემის წესი და ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების მიცემის წესი. თუმცა აღნიშნული საკითხები რეგულირდება შინაგანაწესით. შინაგანაწესის 28-ე მუხლის მიხედვით მასწავლებლები არაანაზღაურებად შვებულებაში იმყოფებიან 15 ივნისიდან 15 სექტემბრამდე. სკოლაში მიმდინარე პროცესების სპეციფიკიდან გამომდინარე მასწავლებელთა სამუშაო არ სრულდება სასწავლო წლის ბოლო დღეს (15 ივნისი). ამიტომ სკოლას მიეცა რეკომენდაცია შეეცვალა შვებულების ხანგრძლივობა, რათა შეფერხების გარეშე წარმართულიყო სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების ანალიზი, შეფასება და ახალი სასწავლო წლის დაგეგმვა. სკოლამ გამოსცა ბრძანება, რომლიც მიხედვითაც შინაგანაწესში შევიდა ცვლილება და 28-ე მუხლი ფორმულირდა ამგვარად: „1 ი ვ ნ ი ს ი დ ა ნ 1 სექტემბრამდე მიეცეს პედაგოგებს უხელფასო შვებულება.“ ***დანართი N9.*** სკოლის დირექტორს ჰყავს ორი მოადგილე. თითოეულ მათგანთან ხელშეკრულება დადებულია ერთდროულად ორ პოზიციაზე (ადმინისტრაციული პოზიცია და მასწავლებლის საქმიანობა); ეს ხელშეკრულებები არ ასახავს კონკრეტული ადმინისტრაციული თანამდებობების მიხედვით დაკისრებულ მოვალეობებს, თუმცა დირექტორის მოადგილეების მოვალეობები გაწერილია შინაგანაწესით. მასწავლებლებთან გაფორმებულ ზოგიერთ ხელშეკრულებაში გაურკვეველია ხელშეკრულების მოქმედების ვადა: მეორე მუხლით განისაზღვრება დასაქმების ორწლიანი ვადა საგნის გამოცდის ჩაბარების პირობით, ხოლო მე-5 მუხლის მიხედვით ხელშეკრულება ძალაშია მუდმივად. გეოგრაფიისა და რუსულის მასწავლებლებთან, რომელებსაც მინიჭებული ჰქონდათ უფროსი მასწავლებლის სტატუსი, გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომელიც მათ ორი წლის ვადაში საგნის გამოცდის ჩაბარებას ავალდებულებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• გაფორმებული ხელშეკრულებები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი, • პირადი საქმეები, • შინაგანაწესი, • ***დანართი N9.*** • გასაუბრება.
შეფასება:	☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს „სკოლა ჩირაღდანს“ შემუშავებული აქვს პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება. <u>გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლაში არ მუშაობს ხარისხის განვითარებისა და მასწავლებელთა პროფესიული მხარდამჭერის ჯგუფი და არ ხორციელდება დებულებით განსაზღვრული აქტივობები.</u> <u>სკოლამ ვერ წარმოადგინა:</u> · სკოლის მიერ მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებების კვლევისა და პროფესიული განვითარების მიმართულებით განხორციელებული მხარდამჭერი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია. · დასაქმებული ადამიანური რესურსის (ადმინისტრაციული, დამხმარე და პედაგოგიური) პროფესიული განვითარების დებულება, რომელიც ასახავდა, თუ როგორ ხდება დასაქმებულთა პროფესიულ განვითარების ხელშეწყობა. ვიზიტის პერიოდში ვთხოვეთ წარმოედგინათ სკოლის თანამშრომელთა პროფესიული განვითარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. სკოლამ წარმოადგინა მხოლოდ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის მიერ საგნობრივი ტრენინგის გავლის დამადასტურებელი ცნობა. <u>სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, პირადი საქმეების შესწავლით და დასაქმებულებთან გასაუბრებით ვერ დგინდება, რომ თანამშრომლები მონაწილეობენ პროფესიული განვითარების ხელშემწყობ ღონისძიებებში.</u> მხოლოდ რამდენიმე მასწავლებელმა ისაუბრა კოლეგათა ურთიერთთანამშრომლობის, სასწავლო პროცესის ინტერგირებულად დაგეგმვის პრაქტიკის შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საჭიროებენ პროფესიულ განვითარებას ეროვნული სასწავლო გეგმის არსებული მოთხოვნების უკეთ შესრულებისთვის. დირექტორის განმარტებით, ის უზრუნველყოფს მასწავლებელთა ინფორმირებას მიმდინარე რეფორმის შესახებ. **ამგვარად სკოლის მიერ არ არის გათვალისწინებული სტანდარტის მოთხოვნა. სკოლას შემუშავებული არ აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმი. არ ხორციელდება მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის დებულებით გაწერილი ღონისძიებები.** **რეკომენდებულია, რომ სკოლამ შექმნას ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების მექანიზმი, რომელშიც ასახული იქნება სკოლაში დასაქმებულ პირთა (ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის) პროფესიული განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებები.** **რეკომენდებულია, სკოლამ განახორციელოს მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის დებულებით გაწერილი აქტივობები.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• დასაქმებულთა პირადი საქმეები, • შპს სკოლა ჩირაღდანის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება, • მასწავლებლებთან გასაუბრება, • ადმინისტრაციასთან გასაუბრება.
შეფასება:	☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ვიზიტის პერიოდში ჩატარდა გასაუბრება სკოლის მოსწავლეებთან, მშობლებთან და მასწავლებლებთან. მათი აზრით, სკოლა „ჩირაღდნის“ უპირატესობაა მცირერიცხოვანი კლასები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ყოველ გაკვეთილზე ჩართულობას, ცოდნის შემოწმებას, ინდივიდუალურ მხარდაჭერას, მასწავლებელს არავინ რჩება უყურადღებოდ. სკოლამ სასკოლო პროექტების, სპორტული, სახელოვნებო და საკლუბო აქტივობების (მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლების ჩართულობით)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	საშუალებით ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას. სკოლის საზოგადოების წევრებისთვის შემოქმედებითი და თანამშრომლობითი გარემოს შექმნას. <u>სკოლამ ვერ წარმოადგინა ამ მიმართულებით განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ვერც მოსწავლეები ასახელებენ განხორციელებულ სასკოლო პროექტებს.</u> მოსწავლეები აღნიშნავდნენ, რომ აქვთ საშუალება ჩაერთონ სასკოლო ცხოვრებაში და სურვილის შემთხვევაში შეუძლიათ მიმართონ მასწავლებლებსა და ადმინისტრაციას თავიანთი იდეების განხორციელებისათვის. თუმცა კონკრეტულ აქტივობას/აქტივობებს, რომელიც განხორციელდა მათი ინიციატივით ვერ ასახელებდნენ. სკოლის შინაგანაწესის მიხედვით მოსწავლეებს, მშობლებსა და მასწავლებლებს აქვთ შესაძლებლობა გაწევრიანდნენ სკოლის სხვადასხვა სტრუქტურაში (მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი). თუმცა მშობლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ ისინი არ არიან ინფორმირებულები ამ სტრუქტურული ერთეულების ფუნქციონირების შესახებ. მასწავლებელებთან გასაუბრებითა და მათი პორტფოლიოების შესწავლით გამოიკვეთა, რომ მასწავლებელთა შორის თანამშრომლობის ხარისხი დაბალია. მასწავლებლებს შორის არ ხდება გამოცდილებისა და რესურსების გაზიარება. მასწავლებლებს უჭირთ დაასახელონ პროფესიული განვითარების მიმართულებით განხორციელებული აქტივობები. **ჩატარებული გასაუბრებებით, სკოლაში არსებული რეალური მდგომარეობის შესწავლითა და ექსპერტთა მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების საფუძველზე ვერ მიიჩნევა, რომ სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას.** რეკომენდებულია, რომ სკოლამ განახორციელოს აქტივობების (სასკოლო პროექტების, სპორტული, სახელოვნებო და საკლუბო აქტივობები), რათა ხელი შეუწყოს მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას. სკოლის საზოგადოების წევრებისთვის შემოქმედებითი და თანამშრომლობითი გარემოს შექმნას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მოსწავლეებთან გასაუბრებით, • მშობლებთან გასაუბრებით, • მასწავლებლებთან გასაუბრებით, • ადმინისტრაციასთან გასაუბრებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შეფასება:	☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	• რეკომენდებულია, რომ სკოლამ უზრუნველყოს კვალიფიციური ადამიანური რესურსის მოზიდვა და მათთვის სათანადო სამუშაო პირობების შექმნა. • რეკომენდებულია, რომ სკოლამ გამოაცხადოს ვაკანსია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სკოლის ექიმის პოზიციაზე №41/ნ/01-23/ნ შესაბამისად. • რეკომენდებულია, რომ სკოლამ მასწავლებელთა შერჩევისას გაითვალისწინოს ზოგადი განათლების კანონითა და საქართველოს მთავრობის №241-ე დადგენილებით განსაზღვრული რეგულაციები. • რეკომენდებულია, რომ სკოლამ მასწავლებელთა შერჩევის პროცესი წარმართოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება N174/ნ-ით განსაზღვრული რეგულაციების დაცვით. • რეკომენდებულია, რომ სკოლამ დასაქმებულებთან გააფორმოს შრომითი ხელშეკრულებები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. • რეკომენდებულია, რომ სკოლამ შექმნას ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების მექანიზმი, რომელშიც ასახული იქნება სკოლაში დასაქმებულ პირთა (ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის) პროფესიული განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებები. • რეკომენდებულია, სკოლამ განახორციელოს მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის დებულებით გაწერილი ღონისძიებები. • რეკომენდებულია, რომ სკოლამ განახორცილოს აქტივობების (სასკოლო პროექტების, სპორტული, სახელოვნებო და საკლუბო აქტივობები), რათა ხელი შეუწყოს მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას. სკოლის საზოგადოების წევრებისთვის შემოქმედებითი და თანამშრომლობითი გარემოს შექმნას.
რჩევები:	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ხარვეზები:	• სკოლას არ ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი. ხშირია სკოლიდან კადრების გადინება. • მოწვეული მასწავლებლების საათობრივი დატვირთვა არ ითვალისწინებდა ზოგადი განათლების კანონით დადგენილ რეგულაციას. სკოლაში დასაქმებული იყო 3 უსტატუსო მასწავლებელი. • სკოლა არ ითვალისწინებს მასწავლებელთა შერჩევის პროცესის წარმართვის დროს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება N174/ნ დადგენილების რეგულაციებს. • მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები არ ითვალისწინებს საქართველოს მთავრობის N174/ნ დადგენილების რეგულაციებს. • სკოლას არ აქვს შემუშავებული ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები. არ ხორციელდება მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და მხარდაჭერის ხელშემწყობი ღონისძიებები. • ჩატარებული გასაუბრებებით, ექსპერტთა მიერ სკოლაში არსებული რეალური მდგომარეობის შესწავლით და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების საფუძველზე ვერ მიიჩნევა, რომ სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას.
სტანდარტის შეფასება	☐ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ სტანდარტი დარღვეულია

● თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

XI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი N1. აუდიტის დასკვნები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

დანართი N2. ფოტოსურათი
დანართი N3. ფოტოსურათი
დანართი N4. ფოტოსურათი
დანართი N5. ფოტოსურათი
დანართი N6. ფოტოსურათი
დანართი N7. ფოტოსურათი
დანართი N8. ფოტოსურათი
დანართი N9. პედსაბჭოს ოქმი
დანართი 10. ფოტომასალა

ქ. თბილისი **20 მაისი, 2022 წ.**

(შეკვეთის ადგილი)
თარიღი
გვერდების რაოდენობა **64**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.